# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსამაგლესია.

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2008 წელი.

№ 32 (5890)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.

## ვინ რამდენი დახარჯა საპრეზიდენტო არჩევნებში









3

## აბრაკადაბრა, ანუ „ბარემეიქსეპული" მემორანდუმი

2



## საქართველოს სახალხო დამცველი წინასწარი გამოძიების ჩატარებას მოითხოვს

5

## იქნებიან თუ არა პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატები?

2



## ინტელექტუალური ნობათი — ერის სულიერ წინამძღოლს



9



5

## „ბადრი რომ ცოცხალი ყოფილიყო, საქართველოს ნატოში გაწევრებას სხვა ელფერი ექნებოდა"

# სახელმწიფო

● ნამდვილად მაგარი რაღაც დაწერა ხელისუფლებამ. ძალიან მაგარი და სანამ კიდევ რამე დაუწერია, ან – უფრო უარესი, იმ „ქმნილების" შესრულებას შედგომია, დროზე ვუშველოთ თავს



◎ „წინ გადადგმული ნაბიჯი"

## აბრაკადაბრა, ანუ „გარემიქსებული" მემორანდუმი

**ოპოზიციამ მორიგი მიტინგი 22 თებერვალს დანიშნა!**

**კოსოვომ დამოუკიდებლობა გამოაცხადა!**

**საქართველოს ხელისუფლებამ არც კოსოვოს დამოუკიდებლობა და არც ოპოზიციის მოთხოვნები არ სცნო!**

**უფრო ზუსტად რომ ვთქვა, კი სცნო, მაგრამ თავისებურად გაიგო და როგორც შოუმენები იტყვიან, ოპოზიციის მემორანდუმის „რემიქსი გააკეთა".**

ერთის შეხედვით ქალბატონი ნინო ბურჯანაძის მიერ შემოთავაზებული ცვლილებები საკმაოდ „წინ გადადგმულ" ნაბიჯად შეიძლება ჩაითვალოს, ქართულ საშინაო პოლიტიკაში, მაგრამ თუ ყურადღებით განვიხილავთ მის 4 ბლოკად დაყოფილ 21 პუნქტს, ვნახავთ, რომ ხელისუფლებამ ამ შემთხვევაშიც „ბრტყელ-ბრტყელი" სიტყვების ფრქვევის გარდა აბსოლუტურად არაფერი არ შემოგვთავაზა.

სანამ ზოგიერთი ყველაზე საჭირბოროტო პუნქტის განხილვაზე გადავალ, მინდა ავღნიშნო ერთი საინტერესო ფრაზა, რომელიც თითქმის ყველა პუნქტში მეორდება. ეს ფრაზა ასე ჟღერს: „პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში" და შემდეგ გრძელდება ამა თუ იმ საკითხის შესახებ ხელისუფლების მოსაზრების გადმოცემა.

რას ნიშნავს ფრაზა: „პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში"? ეს ფრაზა თავიდანვე ტოვებს იმის შესაძლებლობას, რომ „პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსი არ იქნას მიღწეული". ე.ი. იმ ვადებში, რომლებშიც უნდა განხორციელებულიყო ცვლილებები, ფაქტობრივად არაფერი არ შეიცვლება და იქნება ამ „კონსენსუსის მისაღწევად" გამართული „დიალოგი".

ასევე ხშირად გვხვდება სხვადასხვა კომისიისა და მონიტორინგის ჯგუფის ჩამოყალიბების სურვილით ეს აშკარად ეუთოს, ან რომელიმე საერთაშორისო ორგანიზაციის „მდიდარი, დასავლური გამოცდილების" გაზიარებაა. არადა ჩვენი „მწარე გამოცდილებით" ვიცით, რომ ჯერ არც ერთ კომისიასა და მით უმეტეს მონიტორინგის არც ერთ ჯგუფს არაფერი რეალური არ გაუკეთებია.

ყველაზე მთავარი: არც ერთი პუნქტი, მისი შესრულების შემთხვევაშიც კი არავითარ შედეგს არ იძლევა და მთელი ეს 21-პუნქტიანი „ნაღვაწი" იმისთვის არის შექმნილი, რომ მოხდეს დროის გაწელვა, მოხდეს უამრავი ქაღალდისა და ხსნადი ყავის განადგურება, მოხდეს უამრავი უსაქმურისთვის შრომითი გარემოს ილუზიის შექმნა.

მოდით დავიწყოთ პირველი ბლოკის პირველი და მეორე პუნქტებიდან:

ამ პუნქტებში წერია, რომ ვიდეოთვალის ჩანაწერები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისთვის და ცესკო შეუზღუდავად უზრუნველყოფს მათს გაცნობას. ასევე: იმ დარღვევების გამოძიება, რომლებიც გამოვლენილია ან გამოვლინდება ვიდეოთვალის ჩანაწერების გაცნობის შემდეგ, გამოძიებული იქნება საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებში.

კი ბატონო, ვთქვათ „მივედი, ვნახე და გავიმარჯვე", ანუ აღმოვაჩინე დარღვევები. იმ საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადები უკვე გასულია. ეგეც რომ არ იყოს, უცებ არ გაითვალისწინონ ის გაყალბებული ბიულეტენები და მეორე ტურს არ დანიშნონ!

ძალიან საინტერესოა მეორე ბლოკი.

მეხუთე პუნქტში წერია, რომ „პოლიტიკურ გაერთიანებებს შორის კონსენსუსის მიღწევის შემთხვევაში" ახლადარჩეული პარლამენტი შექმნის კომისიას, რომელიც გამოიძიებს 2007 წლის 7 ნოემბერთან დაკავშირებულ საკითხებს (შემდეგ გაკეთებულია იმ „საკითხების" ჩამონათვალი, რომელიც უნდა განიხილოს ამ კომისიამძ და მისცემს მათ პოლიტიკურ შეფასებას. კომისიის დასკვნას არ მოჰყვება რომელიმე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა.

გესმით, ხალხო? კომისია მისცემს მათ პოლიტიკურ შეფასებას და დასკვნას არ მოჰყვება რომელიმე პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა!

ძალიან მაგარია!

ე.ი. კომისია დაადგენს, რომ იყო ძალის გადამეტების, პოლიტიკური ოპონენტების დევნის და კიდევ სხვა მრავალი სამართალდარღვევის ფაქტი და იტყვის, რომ „ეს ცუდი იყოო!"

არა, ნამდვილად ძალიან მაგარი კომისია იქნება, მაგრამ ამ პუნქტში არის ერთი საინტერესო წინადადება, რომელიც გვეუბნება, რომ ამ კომისიას ახალარჩეული პარლამენტი შექმნის. ამ ფრაზით სავარაუდოა ვიფიქროთ, რომ დღევანდელი ხელისუფლება დაახლოებით ხვდება მომავალი არჩევნების შედეგებს და წინასწარ იზღვევს თავს.

ამავე ბლოკის მეშვიდე პუნქტი „პირდაპირ" უპასუხებს ოპოზიციის მემორანდუმის მეექვსე მუხლს, სადაც ოპოზიცია მოითხოვს შსს მინისტრის გადაყენებას. ხელისუფლების მიერ „გარემიქსებულ" ამ მოთხოვნაში კი საუბარია რაღაც სპეციალური კომისიის შექმნაზე, რომელიც შემდგომ შეიმუშავებს წინადადებებს სამართალდამცავი ორგანოების მონიტორინგის საბჭოს (ე.წ. რეიგანის მოდელიძ შექმნასთან დაკავშირებით.

საქებარი სიტყვები არ მყოფნის, იმდენად „ძლიერად" და „გასაგებადაა" ნათქვამი მეორე ბლოკის მეშვიდე პუნქტში ხელისუფლების დამოკიდებულება ამ საკითხთან მიმართებაში.

მერვე პუნქტშიც მონიტორინგის საბჭოს შექმნას აპირებენ.

ეტყობა ვინც ამ „მემორანდუმს" წერდა, სიტყვა „მონიტორინგი" ძალიან მოსწონს, რადგანაც მეოთხე ბლოკის მეათე პუნქტშიც გამოუყენებია. ეს პუნქტი ჟურნალისტური სტანდარტების დაცვას შეეხება!!! და „აქაც შემუშავდება წინადადებები შესაბამისი ფუნქციების მქონე ჯგუფის შექმნის წესისა და საქმიანობის თაობაზე"!!!

უძლიერესია!!!

სხვა პუნქტებიც ანალოგიური „პათოსით" არის დაწერილი და ამიტომ ერთი ანეკდოტი გამახსენდა: მათემატიკის ლექტორი შესჩივის თავის კოლეგას. – ეს ჩემი სტუდენტები ძალიან უნიჭოები არიან. ვუხსნი ერთხელ, მეორეჯერ, მესამეჯერ. უკვე მეც გავიგე, მაგრამ მათ მაინც ვერაფერი გავაგებინეო.

ანეკდოტი იქეთ იყოს და, მართლაც ძალიან „საინტერესო" დოკუმენტი შეიმუშავა ხელისუფლებამ.

სრულიად შესაძლებელია, რომ ამ „ნაწარმოების" (დავიბნეი. აღარ ვიცი, რა დავარქვა 21 პუნქტად ჩამოწერილ სიტყვების გროვას, ამიტომ მოვიხსენიებ სხვადასხვა სახელითძ შექმნის მთავარი მიზეზი ოპოზიციის დაბნევა იყოს. სანამ იმ პუნქტებიდან ადამიანი რაიმე აზრს გამოიტანს, გაზაფხულიც მოვა, ჩიტები დაიწყებენ ჟღურტულს. მერე ზაფხულიც დადგება. ზაფხული კი შვებულებების დროა. ვის სცალია მემორანდუმების საკითხავად. შემოდგომაზე მოსავალია ასაღები, ზამთარში – გაძვირებული გაზის ფული საშოვნელი.

არა, ნამდვილად მაგარი რაღაც დაწერა ხელისუფლებამ. ძალიან მაგარი და სანამ კიდევ რამე დაუწერია, ან – უფრო უარესი, იმ „ქმნილების" შესრულებას შედგომია, დროზე ვუშველოთ თავს.

**გია გაბრიჭიძე**

◎ კანონმდებლები

## იქნებიან თუ არა პარლამენტში მაჟორიტარი დეპუტატები?

**საქართველოს პარლამენტში მაჟორიტარული არჩევნების შეცვლის საკითხი, პარლამენტის უფლებამოსილების გაზრდის და საარჩევნო ბარიერის 5 პროცენტამდე დაწევის საკითხები, შესაძლოა, კენჭისყრაზე აღარ დადგეს. ამის შესახებ განცხადება პარლამენტის პლენარულ სხდომაზე პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა გააკეთა.**



მიხეილ მაჭავარიანის თქმით, თუ ოპოზიციასთან შეთანხმება არ იქნება, ხელისუფლებას ამ საკითხების გადაწყვეტის არც რესურსი აქვს და არც სურვილი. საპარლამენტო ოპოზიცია კი ჯერჯერობით პარლამენტის რიგგარეშე სხდომაზე არ შესულა.

აღნიშნული საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტი რიგგარეშე სხდომაზე იუსტიციის მინისტრმა ნიკა გვარამიამ გამოიტანა, ხოლო საკითხის განხილვამდე მაჟორიტარული არჩევნების წესთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრება მაჟორიტარმა დეპუტატებმაც დააფიქსირეს.

დეპუტატებმა განაცხადეს, რომ უმჯობესია, შენარჩუნებული იყოს მაჟორიტარული არჩევნების ძველი პრინციპი და არ გადავიდნენ პროპორციულ არჩევნებზე, რათა შენარჩუნებული იყოს ის სიკეთე, რომელიც მოსახლეობის მიერ პარლამენტში საკუთარი წარმომადგენლის ყოფნას ადასტურებს.

პარლამენტის თავმჯდომარემ ნინო ბურჯანაძემ განაცხადა, რომ მაჟორიტარების მოთხოვნას ნამდვილად აქვს არსებობის უფლება და ეს საკითხი აუცილებლად დაექვემდებარება განხილვას.

**ინტერპრესნიუსი**

◎ აქცია

## საპატრიარქოსთან დაქვემდებარებულ სკოლებს ავიწროებენ

**ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატები საქართველოს განათლების სამინისტროსთან საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებული ორი სასწავლო დაწესებულების შენობებიდან შესაძლო გამოსახლებას აპროტესტებენ.**

როგორც საპროტესტო აქციაზე ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატების ლიდერმა ზაზა გაბუნიამ განაცხადა, საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ ორ სასწავლო დაწესებულებას, კერძოდ, ნიკო ბურის სახელობის თავადაზნაურთა გიმნაზიასა და შავნაბადას წმინდა გიორგის სახელობის სკოლაში სასწავლო პროცესის ნორმალურად წარმართვა რეალური საფრთხის წინაშე დგას, რადგან მათ ხელისუფლების მხრიდან შენობებიდან გამოსახლება ემუქრებათ.



ხელისუფლება და განათლების სამინისტრო მათ უყენებენ იმგვარ პირობებს, რომელთა განხორციელებაც, აღნიშნული სკოლების ფინანსური შესაძლებლობების გათვალისწინებით, არარეალურია. ხელისუფლება საპატრიარქოს დაქვემდებარებაში არსებულ სკოლებს გამოუვალ სიტუაციაში აგდებს, – აღნიშნა გაბუნიამ.

ახალგაზრდა ქრისტიან-დემოკრატებმა განათლების სამინისტროსთან თემიდას სასწორი მოიტანეს, რომლის ერთ მხარეს ახალი აღთქმა, „ვეფხისტყაოსანი" და სასულიერო ლიტერატურა დადეს, ხოლო მეორე მხარეს – „თავისუფლების ინსტიტუტის" მიერ გამოცემული წიგნი – „რელიგიური თავისუფლება".

**ინტერპრესნიუსი**

№ 32. ოთხშაბათი. 20 თებერვალი. 2008 წელი.

# ადუღებული დრო

• ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდის ანგარიშში დარღვევებია, რომელიც გამოძიებას საჭიროებს, თუმცა დეტალებს, ალბათ, უახლოეს დღეებში გაარკვევენ და დააკონკრეტებენ კიდეც



◎ კანდიდატთა საარჩევნო ფონდები

*14 მაისიდან 24 მაისამდე შუალედის რომელიმე დღეს საპარლამენტო არჩევნების ჩატარება გარდაუვალია. ეს პერიოდი როგორც ხელისუფლებისთვის, ისე ოპოზიციისთვის ერთნაირად ხელსაყრელია. მანამდე კი წინასაარჩევნო მარათონია გასავლელი მუდმივი კამათით, დაპირისპირებით, ურთიერთბრალდებებით, ასევე ამომრჩეველთან შეხვედრებით, გასვლითი ტურნეებით და უამრავი წვრილმანით. მოკლედ, საარჩევნოდ დიდი ძალისხმევაა საჭირო გონებრივი და ფიზიკური ენერგიის დახარჯვის თვალსაზრისით, მაგრამ ამ ყველაფრის ორგანიზებასა და სულის ჩადგმას სჭირდება უმთავრესი — ფინანსები, მატერიალური უზრუნველყოფა, ანუ — ფული.*

## ვინ რამდენი დახარჯა საპრეზიდენტო არჩევნებში

### სააკაშვილს ბიუჯეტი არ გაუფლანგავს?

რომელი პარტია რამდენს დახარჯავს საარჩევნოდ, ჯერ არავინ იცის, მაგრამ სამაგიეროდ ცნობილია, ვინ რამდენი დახარჯა საპრეზიდენტო არჩევნებისთვის. შვიდი კანდიდატის საარჩევნო ფონდების ნუსხა ასე გამოიყურება: მიხეილ სააკაშვილი — 22 მილიონ 379 ლარი; ლევან გაჩეჩილაძე — 6 მილიონ 860 ათას 379 ლარი; ბადრი პატარკაციშვილი — 400 ათასი ლარი; დავით გამყრელიძე — 152 ათას 500; შალვა ნათელაშვილი — 35 ათას 454; გია მაისაშვილი — 3 ათას 243; ირინა სარიშვილი — 348 ლარი და 40 თეთრი.

ანუ ამ ციფრებმა წინასწარვე თითქმის მისტიურად განსაზღვრეს მხარჯველ კანდიდატთა ბედი (მეტ-ნაკლები ცდომილებით). იმან გაიმარჯვა, ვინც ყველაზე მეტის გაღება (გაფლანგვა) შეძლო (!). ეს ფაქტი შეიძლება პარტიებმა სამომავლოდაც კი გაითვალისწინონ და თავი და სახსრები (ვგულისხმობ ფულადს) არ დაზოგონ გამარჯვების მისაღწევად.

* * *

**წესისამებრ, ყველა კანდიდატმა განსაზღვრულ ვადაში წარმოადგინა ხარჯთაღრიცხვა ცესკოში. მაგრამ მაშინ, როცა ჩვენი გაზეთი დაინტერესდა ამ საკითხით და საჯარო ინფორმაციის მიღება ვთხოვეთ ცესკოს, მხოლოდ ორ საარჩევნო სუბიექტს ჰქონდა შეტანილი საარჩევნო ფონდის ანგარიშები. რამდენიმე დღის ლოდინის შემდეგ მხოლოდ ეს მონაცემები მოგვაწოდეს, ამიტომ ჩვენც ამჯერად სააკაშვილისა და ნათელაშვილის ფონდების ზოგადი მიმოხილვით შემოვიფარგლებით.**

საპრეზიდენტო არჩევნების ჩასატარებელი თანხა, რომელიც სახელმწიფომ ცესკოს გამოუყო, 22 მილიონ 989 ათასი ლარია.

თითქმის ამ ციფრის მსგავსია ის თანხა, რომელიც მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო კამპანიისათვის დაიხარჯა — 22 მილიონ 986 ათას 081 ლარი (2007 წლის 26 ნოემბრიდან 2008 წლის 13 იანვრამდე).

ფონდი შევსებულია კერძო შემოწირულობებით როგორც კერძო (101), ასევე იურიდიული (162) პირებისაგან. შემომწირველთა მონაცემებში მითითებულია ფულადი და არაფულადი შემოწირულობები, თუმცა არაფულადის გასწვრივ ძირითადად აღნიშნულია პოლიტიკური გაერთიანება „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

შემომწირველები არიან შპსები, ინდივიდუალური მეწარმეები და სააქციო საზოგადოებები. ძირითადად, მათი ფულადი შემოწირულობები განისაზღვრება 100 ათასი ლარით. მაგალითად, ასეთებია: შპს „ლილო სითი“, სააქციო საზოგადოება „პირიმზე“, შპს „მ. შარაძის სამედიცინო ცენტრი“, „საქართველოს ავიახაზები“, „ნიკორა“, „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, „ბაგები სითი ჯგუფი“ და სხვა.





ფიზიკურ პირთა შემოწირულობები 30 ათას ლარს არ აღემატება, თუმცა 101 პირის უმეტესობის გასწვრივ სწორედ ეს ციფრი წერია. ჯამში — 2 მილიონ 453 ათას 362 ლარი.

ალბათ, არანაკლებ საინტერესოა, თუ რისთვის და როგორ გაიხარჯა ფონდი — ძირითადად, რეკლამებისთვის, ღონისძიებებისთვის, ოფისის ფართის იჯარისათვის, სააგიტაციო მასალებისთვის, კვებისთვის, ხელფასისთვის და ტრანსპორტისათვის. აქედან, „რუსთავი-2“-ის სარეკლამო მომსახურებისათვის დახარჯულია 5 მილიონ 267 ათას 329 ლარი, „საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის“ გადაუხდიათ მილიონ 427 ათას 250 ათასი, ხოლო ტელეკომპანია „მზისთვის“ მილიონ ლარზე ოდნავ მეტი. თბილისის სახელმწიფო საკონცერტო დარბაზში (ფილარმონია) გადაუხდიათ 300 ათას ლარზე მეტი, ხოლო დარბაზისთვის იჯარით10 ათასი ლარზე მეტი, სპორტის სასახლის ფართის იჯარა ს თითქმის 28 ათასი ლარია, ნაციონალურ პარტიას სოციოლოგიური კვლევის ჩასატარებლად „ეი სი თი“ ჯგუფისთვის 68 ათასი ლარი მიუცია, ხოლო „ბი სი ჯი“ ჯგუფისთვის — 34 ათასი ლარი.

მიხეილ სააკაშვილის საარჩევნო ფონდის ფინანსურ დოკუმენტაციას თან ახლავს სამეურნეო-ფინანსური საქმიანობის აუდიტორული შემოწმება და დასკვნა, რომ ფონდის გაწეული საქმიანობა შესაბამისობაშია საქართველოს მოქმედ კანონმდებლობასთან, ხოლო ბუღალტრული აღრიცხვის მონაცემები დამაჯერებლად ასახავენ მისი საქმიანობის ყველა ასპექტს.

ასეთი არგუმენტი საკმარისი სულაც არ აღმოჩნდა ოპოზიციური ძალების წარმომადგენლობისთვის. ისინი ამბობენ, რომ „ნაციონალური მოძრაობის“ საარჩევნო ფონდის ანგარიშში დარღვევებია, რომელიც გამოძიებას საჭიროებს, თუმცა დეტალებს, ალბათ, უახლოეს დღეებში გაარკვევენ და დააკონკრეტებენ კიდეც.

ზემოხსენებულ ფონდთან შედარებით, ერთობ მოკრძალებულად გამოიყურება შალვა ნათელაშვილის საარჩევნო კამპანიის ხარჯთაღრიცხვა. ფონდის შემოსავალი და გასავალიც სულ რაღაც 35 ათას 454 ლარით შემოიფარგლება. ფონდს ერთადერთი იურიდიული პირისგან — ლეიბორისტული პარტიისაგან მიუღია შემოწირულობა — 20 ათას ლარამდე. ხუთი კერძო პირია მითითებული და მათი საერთო შენატანი თითქმის 15 ათასი ლარია. აუდიტორიულ დასკვნაში აღნიშნულია, რომ კანდიდატმა ისარგებლა უფასო სატელევიზიო რეკლამებით. შალვა ნათელაშვილს ღონისძიებებისთვის ათას ლარზე ცოტა მეტი გაუღია, ხოლო იჯარისათვის 11 ათასი ლარი, სააგიტაციო მასალების დასამზადებლად — 5 ათასი ლარი, ხოლო სოციოლოგიური გამოკითხვებისთვის — 61 ლარი.

ნათელაშვილის ფონდს რეკლამა პრესაში არ განუთავსებია, არც ბილბორდები დაუმზადებია და მივლინებებისთვისაც აურიდებია თავი.

ალბათ, ლეიბორისტებს ეგონათ, ძალიან ეკონომიურები იქნებოდნენ, მაგრამ ირინა სარიშვილმა მომჭირნეობით მამაკაცებს ბევრად გადააჭარბა. საინტერესოა, 348 ლარითა და 40 თეთრით ვინმეს თუ გაუმართავს წინასაარჩევნო კამპანია ან გაუმარჯვია არჩევნებში?!

**თეა მოსია**



◎ ჩიხი

## ლეიბორისტები სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანხების გაფლანგვაში ადანაშაულებენ

**გუშინ, ლეიბორისტული პარტიის მდივანმა პაატა ჯიბლაძემ პრესკონფერენცია გამართა თემაზე: „გაჩანაგებული სოფლის მეურნეობა და მოტყუებული გლეხები“.**

პაატა ჯიბლაძემ ხელისუფლება სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის გამოყოფილი თანხების გაფლანგვაში დაადანაშაულა და კონკრეტული რიცხვებიც დაასახელა: 2007 წელს 18 მილიონ 200 ათასი დოლარით 264 ტრაქტორი უნდა შეეძინათ, ხოლო 2008 წელს სოფლის განვითარების პროექტებისათვის გამოყოფილია 144,725 მილიონი დოლარი, 6,5 მილიონი ევრო, 2,4 მილიონი გირვანქა სტერლინგი. ეს თანხები, სოფლის მეურნეობის სამინისტროს განვითარებას რომ მოხმარებოდა, დღეს საქართველოს მსოფლიოში ყველაზე მდიდარი და განვითარებული სოფლები ექნებოდაო.

ხელისუფლება აცხადებს, რომ 2008 წელს შეიძინეს 23 მილიონ 300 ათასი ლარის ღირებულების 349 ტრაქტორი, თუმცა ეს ტრაქტორები საარჩევნო ფასადი იყო, რეგიონებიდან კი გვატყობინებენ, რომ საგაზაფხულო სამუშაოები მოახლოვდა და ტექნიკა არ აქვთ მიწის ნაკვეთების მოსახნავადო.

„შვედეთის დახმარების პროგრამა რძის პროდუქტების სფეროში 4,2 მილიონ დოლარს აღემატება, რაც ნამდვილად არ აისახება ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზე. ჩვენ ვითხოვთ სოფლის მეურნეობისათვის გამოყოფილი თანხების დანიშნულებისამებრ ხარჯვას“, — დაასრულა პაატა ჯიბლაძემ.

**მირანდა ფორჩხიძე**

◎ ინფორმაცია

## საქართველოს რკინიგზის ბედი ამერიკელებზეა დამოკიდებული



**დეპუტატი ლადო პაპავა ამერიკელ მეგობრებს რკინიგზის პრივატიზების საკითხის დღის წესრიგიდან მოხსნასთან დაკავშირებით მხარდაჭერისთვის მიმართავს.**

**ამის შესახებ პაპავამ განცხადება პარლამენტის გუშინდელ სესიაზე გააკეთა.**

**მისი თქმით, ამერიკელებმა ამ შემთხვევაში უნდა გამოიჩინონ მხარდაჭერა, რომელსაც ყოველთვის გრძნობდა საქართველო.**

**— უნდა მოიძებნოს თანხები, რაც რკინიგზის რეაბილიტაციისთვის იქნება საკმარისი, ხოლო მისი რეორგანიზაცია-პრივატიზების საკითხი საერთოდ მოიხსნას დღის წესრიგიდან, ეს მხოლოდ ჩვენს მეგობრებს, ამერიკელებს ხელეწიფებათ, — აღნიშნა პაპავამ.**

**დეპუტატმა 2006 წლის დასაწყისი გაიხსენა, როდესაც დღის წესრიგში „გაზპრომისთვის“ მაგისტრალური გაზსადენის დათმობის საკითხები იდგა. მისი თქმით, ამ პროცესში სწორედ ამერიკელი მეგობრების ჩარევა გახდა გადამწყვეტი, რომლებმაც „ათასწლეულის გამოწვევის პროგრამიდან“ 49,5 მლნ აშშ დოლარი გამოყვეს. ამ თანხით საქართველომ „გაზპრომთან“ მოლაპარაკება შეაჩერა და გაზსადენი საქართველოს დარჩა.**

**ინტერპრესნიუსი**

# ცხოვრება

● თუ ჩვენ ახლა დღედაღამ არ ვიფიქრებთ, ვინ ავირჩიოთ, როგორ მოვაწყოთ არჩევნები, რათა ობიექტურად და პატიოსნად წარიმართოს იგი, ჩვენსავე თავს უნდა დავაბრალოთ ყველა უბედურება, რაც შესაძლოა, მომავალში თავს დაგვატყდეს




◉ ინფორმაცია

## პაპავა „ეროვნულ ბანკს“ იცავს

მთავრობა ირწმუნება, რომ ცვლილებები, რომლებიც „ეროვნულ ბანკთან“ მიმართებაშია მომზადებული, სასიკეთოა, თუმცა, რეალურად ეს საფრთხეს წარმოადგენს. ამის შესახებ გუშინ პარლამენტის რიგგარეშე სესიაზე დეპუტატმა ლადო პაპავამ განაცხადა.

ლადო პაპავამ აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ანტიმონოპოლიური სამსახურის გაუქმების საკითხი განიხილა. მისი თქმით, ანტიმონოპოლიური სამსახურის გარეშე კონკურენციის თვალსაზრისით ქვეყნაში ძალიან ცუდი ვითარებაა. თუმცა, ანტიმონოპოლიური სამსახურის არარსებობა წვრილმანია იმასთან შედარებით, რაც შესაძლოა იმ ცვლილებების მიღებას მოჰყვეს, რაც მთავრობამ "ეროვნულ ბანკთან" დაკავშირებით მოამზადა.

პარლამენტის თავმჯდომარის განცხადებით, „ეროვნული ბანკი“, ერთი მხრივ, დამოუკიდებელი უნდა იყოს, მაგრამ პარლამენტის წინაშე მისი ანგარიშვალდებულება აუცილებლად შენარჩუნებული უნდა იქნეს.

ყველა შემთხვევაში ფულად-საკრედიტო პოლიტიკა უნდა დაამტკიცოს პარლამენტმა, „ეროვნული ბანკის“ მიერ ანგარიშის წარდგენა და დამტკიცება უნდა ხდებოდეს პარლამენტის მიერ, რაც ნიშნავს იმას, რომ პარლამენტს გარკვეული კონტროლის ბერკეტები „ეროვნულ ბანკთან“ დაკავშირებით აუცილებლად დარჩება, — აღნიშნა სესიაზე ბურჯანაძემ.

ინტერპრესნიუსი

◉ ვითხოვ სიტყვას!

*საპარლამენტო არჩევნები კარს მოგვადგა. მიგვაჩნია, რომ, სამწუხაროდ, არც ამჟამად ვართ მზად არჩევნების ნორმალურ დონეზე ჩასატარებლად. რატომ? ამაზე ცოტა ქვემოთ. ვიდრე ამ კითხვას ვუპასუხებ, ბოდიშის მოხდით გთავაზობთ რამდენიმე ამონარიდს თვალსაჩინო ქართველი მოღვაწის ჯანსუღ ღვინჯილიას გახმაურებული სტატიიდან „არჩევნების პროფესიონალიზმი“ („დილის გაზეთი“, 20 ივლისი, 1999 წ.ძ დაახლოებით ათი წლის წინათ წარმოთქმულ ამ სიბრძნეთაგან თუნდაც ნაწილზე მაინც რომ ჩავფიქრებულიყავით, ქვეყანა დღევანდელ მდგომარეობამდე, ალბათ, არ მივიდოდა.*

# პრეტენდენტებს – მხოლოდ თანაბარი პირობები

„გვშია, გვწყურია, არ გვაცვია, არ გვახურავს, ოჯახიც მოუვლელი გვაქვს და ქვეყანაც. მხოლოდ იმიტომ, რომ არ ვიცით, ვინ ავირჩიოთ!

არცთუ უსაფუძვლოდ გაისმის ხმები, რომ კიდევ არაერთი პარლამენტი იქნება არჩეული წინამორბედთა მსგავსი, ანუ ცუდი! და ასე გაგრძელდება მანამ, სანამ არ დაიხვეწება პოლიტიკური ცხოვრების სტილი.

თუ არ გვინდა რამდენიმე ათეულ წელიწადს კიდევ ვიტანჯებოდეთ ჩვენც და ჩვენი შვილებიც, უნდა ვიფიქროთ არჩევნებზე სერიოზულად.

არაფერი არ გამოვა ამ არჩევნებიდანაც, თუ დიამეტრულად არ შევიცვალეთ თვითონ ჩვენ. სანამ ჩვენ არ შევიცვლებით, რიგიან პარლამენტს ვერ ავირჩევთ.

თუ ჩვენ ახლა დღედაღამ არ ვიფიქრებთ, ვინ ავირჩიოთ, როგორ მოვაწყოთ არჩევნები, რათა ობიექტურად და პატიოსნად წარიმართოს იგი, ჩვენსავე თავს უნდა დავაბრალოთ ყველა უბედურება, რაც შესაძლოა, მომავალში თავს დაგვატყდეს.

მოვიპოვოთ და წინ დავიდოთ სია ძველი და ახალი მთავრობის წევრებისა და საფუძვლიანად შევისწავლოთ ყოველი მათგანი, რათა მომავალ მთავრობაში არ დაგვინიშნონ პიროვნებები, რომელთაც ხალხის და ქვეყნის ქონება მთლიანად შეჭამეს, საქართველოს ფინანსები უცხოეთში „დაიბინავეს“, თავიანთ ცოლ-შვილსა და საყვარლებს საზღვარგარეთის ქვეყნებში დააგრიალებენ და ლამის სამასი გრამი პურის ამარა დატოვეს მილიონობით ადამიანი“.

ერთ კაცს მეტი რა უნდა ეთქვა. დაგვმოძღვრა, ჭკუა დაგვარიგა, მაგრამ გამოვიდა რამე? ღმერთო ნუ მიწყენ და, ბატონი ჯანსუღი დღეს რომ ცოცხალი იყოს, ძალიან ცოდვა იქნებოდა. გახსოვთ ალბათ, ცოცხალი ქართველი კლასიკოსის ბატონი ჭაბუა ამირეჯიბის საიუბილეო საღამოზე, მისასალმებელი სიტყვის წარმოთქმის დროს, დადებით ემოციებს ვერ გაუძლო და „გული გაუსკდა“. ბოლო წლების ამდენი უსამართლობის, უარყოფითი ემოციებისა და განსაკუთრებით ახლახან ჩატარებული საპრეზიდენტო არჩევნების მოსწრეს რა დაემართებოდა, ძნელი წარმოსადგენი არ არის.

მომავალში, ანალოგიური სიტუაციებიდან თავის დაღწევის მიზნით, თავს უფლებას ვაძლევ და განსასჯელად გთავაზობთ ერთ წინადადებას, რომლის რეალიზაცია არავითარ პრობლემასთან არ არის დაკავშირებული. ძალიან მოკლედ ამ წინადადების არსი ის გახლავთ, რომ **წინასაარჩევნო პერიოდში ნებისმიერ სუბიექტს (ფიზიკურ პირს, პოლიტიკურ ორგანიზაციასძ უნდა ჰქონდეს სააგიტაციო საშუალებების გამოყენების თანაბარი პირობები. ეს იმას ნიშნავს, რომ არჩევნებში მონაწილე ნებისმიერ სუბიექტს მათი ფინანსური, მატერიალური თუ სახელისუფლებო რესურსების მიუხედავად, აეკრძალებათ ამ მიზნით, თუნდაც ერთი ლარის დახარჯვა. მხოლოდ ცენტრალური საარჩევნო კომისიის უმკაცრესი კონტროლის პირობებში უნდა მოხდეს ნებისმიერი სახელისუფლებო რესურსისა და ამ მიზნით სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხების პროპორციული პრინციპით განაწილება და ხარჯვა.**

არ არის გამორიცხული, რომ პრეზიდენტობის ან დეპუტატობის ფულიანმა კანდიდატმა მყისიერად დასვას კითხვა: რა შუაშია ცენტრალური საარჩევნო კომისია ან ბიუჯეტის თანხების პროპორციულად გამოყენებაო. მე მაქვს ფული და სადაც მინდა და რამდენსაც მინდა, იმდენს დავხარჯავო. ჩვენი კონკრეტული პასუხი ამ შემთხვევაში ასეთი იქნება. შენი ფული და ქონება ღმერთმა მშვიდობაში მოგახმაროს, და სადაც გინდა და როგორც გინდა, ისე დახარჯე, ოღონდ ჩვენს ქვეყანაში პრეზიდენტობა და დეპუტატობა ფულზე ან „ფოჩიან კანფეტზე“ აღარ გაიყიდება. გახდი, ბატონო, პრეზიდენტი, გინდ დეპუტატი და მერე როგორც გინდა, ისე დახარჯე შენი ქონება, მაშინ უფრო კარგად გამოჩნდება შენი ქველმოქმედება.

წარმოდგენილი წინადადების განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო ცვლილების შეტანა შესაბამის საკანონმდებლო აქტებში, რომელთა შემუშავებისა და მიღების პერიოდში მოხდება ყველა იმ დეტალის გათვალისწინება და დახვეწა, რაც დაკავშირებულია, ჩვენი აზრით, უპირველესი პრობლემის, ნორმალური არჩევნების ჩატარებასთან.

**ანზორ ბაბუხადია,**
გაზეთ „თანადგომას“
გამომცემელი.

*P. S. ვინც შეეცდება ამტკიცოს, რომ ამ პრობლემის გადაწყვეტა მომავალ საპარლამენტო არჩევნებისათვის არ მოესწრება, ჩავთვლით, რომ ცხონებული ჯანსუღ ღვინჯილიას მოწოდებები ერთ ყურში შეუშვა და მეორეში გაუშვა.*

ა. ბ.

◉ „ქართული დასის“ საჩივარი

## სტუდენტებს ფულს სძალავენ

გუშინ „ქართული დასის“ იურიდიული განყოფილების უფროსმა ედიშერ ქარჩავამ გენერალურ პროკურატურაში საჩივარი შეიტანა განათლების მინისტრის გია ნოდიას და ილია ჭავჭავაძის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორის გიგი თევზაძის წინააღმდეგ. მისი განცხადებით, გიგი თევზაძემ გამოსცა ბრძანებულება, რომლის მიხედვითაც, თუკი სტუდენტს თუნდაც ერთი დღით დააგვიანდება სწავლის საფასურის გადახდა, საურავის სახით მოუწევს დამატებით 100 ლარის შეტანა. „ქართულ დასს“ ამ საკითხის გამო სტუდენტების ჯგუფმა მიმართა. ორგანიზაციამ გენერალურ პროკურატურას გადასცა სათანადო მასალები და საქმის აღძვრა მოითხოვა.

„თევზაძემ ბრძანება აშკარა დარღვევით გამოსცა. სტუდენტებისთვის თანხის გამოძალვის ნიშნები რომ იკვეთება, უდავოა და მას სამართლებრივი კუთხით გამოძიება სჭირდება, — აღნიშნა ედიშერ ქარჩავამ, — გენერალური პროკურატურისგან კი რა პასუხს მივიღებთ, ამის თაობაზე საზოგადოებას შევატყობინებთ“.

**ნია ფიფია**

◉ მიმართვა

## ნინელი ჭანკვეტაძე: თუ საქმეს უშველის, პირველ კარავს მე გავშლი

**„ქართულმა აკადემიამ“ პრესკონფერენცია გამართა, სადაც კიდევ ერთხელ გაახმოვანა მიმართვა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისა და ოპოზიციური პოლიტიკური ორგანიზაციებისადმი. მიმართვის სრული ტექსტი ჩვენი გაზეთის წინა ნომერში გამოქვეყნდა. „ქართული აკადემიის“ წევრებმა შეხვედრაზე აღნიშნეს, რომ ისინი იქნებიან შუამავლები ხელისუფლებასა და ოპოზიციას შორის, დაესწრებიან მათ მოლაპარაკებებს და შეეცდებიან კონფლიქტის მოგვარებას.**

ნუკრი ქანთარიას თქმით, „კოსოვოს“ მოვლენებმა შეიძლება გავლენა მოახდინოს საქართველოზეც, რაც გვაიძულებს, ორივე მხარეს კომპრომისისკენ მოვუწოდოთ. ყველა ის მუხლი, რომელსაც ოპოზიცია ითხოვს, იმის გარანტიაა, რომ ჩატარდეს ნორმალური არჩევნები და ერთხელ და სამუდამოდ გვეყოლოს ლეგიტიმური ხელისუფლება. ნინო ბურჯანაძე პრინციპულ სამ მუხლზე თანხმობას აცხადებდა, მაგრამ ჯერჯერობით არც 7 ნოემბერს დაპატიმრებულები გაუთავისუფლებიათ და არც თარხნიშვილი და კინწურაშვილი გადაუყენებიათ. ამ უწყინარი პუნქტების შესრულება რთული არ იყო, ხოლო დანარჩენი მუხლების მყისიერი განხორციელებაც აუცილებელი არ იქნებოდა. პრობლემა დილემა არ არის და მოგვარება შეიძლება. მართალია, საზოგადოების მოთხოვნა უფრო რადიკალურია და ჩვენი განცხადებით, „ქართულ აკადემიას“ შეიძლება ჩრდილი მიადგეს კიდეც, მაგრამ ქვეყნისთვის კომპრომისი აუცილებელია.

„საქართველოს რესპუბლიკის“ კითხვაზე, თუ სად დადგება „ქართული აკადემია“, თუკი მდგომარეობა უფრო გამწვავდება, პასუხი ასეთია: ჩვენთვის მისაღები ყველა ფორმით ხალხთან დავდგებით, მშვიდობა გვინდა და ყველაფერს ვაკეთებთ, ყველა ღონეს ვხმარობთ, ბოლომდე ამოვწურავთ მშვიდობიანი გზის რესურს, მაგრამ თუკი ასე არ მოხდება, ქუჩაში გავალთ და ვიბრძოლებთ სამართლიანობისთვის. დაანახოს ხელისუფლებამ ხალხს რაიმე რეალური ნაბიჯი, კონკრეტული კომპრომისი და სიტუაციაც განიმუხტება.

ნინელი ჭანკვეტაძემ ასეთი რეპლიკა გააკეთა: ნამდვილად არ მინდა და მზარავს კიდეც „კარვების ქალაქში“ ცხოვრება, მაგრამ თუკი ეს საქმეს უშველის, პირველ კარავს მე გავშლიო.

პრესკონფერენციას ყოფილი პოლიტპატიმარი ირაკლი ბათიაშვილიც ესწრებოდა, რომელმაც განაცხადა, რომ ამ სამი საკვანძო მოთხოვნის გადაუწყვეტლობა იმის მიმანიშნებელია, რომ ხელისუფლებას საზოგადოების მიერ დაკვეთილი საპარლამენტო არჩევნების ნორმალურად ჩატარების განზრახვა და სურვილი არ აქვს. ეს იწვევს სიტუაციის უალრესად დაძაბვას და ვითარება ფეთქებადსაშიშია. ამიტომაც არის „ქართული აკადემიის“ ინიციატივა შევაგნებინოთ ხელისუფლებას მდგომარეობის სიმძაფრე და მოვუწოდებთ, ადეკვატური ნაბიჯები გადადგას.

**ნია ფიფია**

● მას ყოველთვის ყველასთან, ნორმალური და კონსტრუქციული ურთიერთობები ჰქონდა და, რაც მთავარია, მას შეეძლო თამაშების მართვა



**აზრი**

*ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის უახლოესი მეგობარი, რუსეთის დუმის დეპუტატი ანდრეი ლუგოვოი სააგენტო „ჯი-ეიჩ-ენისათვის“ მიცემულ ექსკლუზიურ ინტერვიუში ბიზნესმენის გარდაცვალების მიზეზზე საუბრობს და აცხადებს, რომ ბადრი პატარკაციშვილს მხოლოდ ორი მტერი – საქართველო და ამერიკა ჰყავდა.*

# „ბადრი რომ ცოცხალი ყოფილიყო, საქართველოს ნატოში გაწევრებას სხვა ელფერი ექნებოდა“

**– ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის გარდაცვალების ერთ-ერთ მიზეზად მკვლელობა სახელდება. როგორია თქვენი ვერსია?**

– უპირველეს ყოვლისა, ეს ჩემთვის პირადი გაჭირვებაა. ბადრის 15 წლის განმავლობაში ვიცნობდი. ალბათ, ყველა ადამიანის ცხოვრებაში არიან ადამიანები, ვისთანაც ისინი ვალში არიან. ჩემთვის ასეთი ადამიანი ბადრი იყო. მან ჩემს ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა. განვიცდი მის სიკვდილს და მის ოჯახთან ერთად ვგლოვობ მას.

რაც შეეხება ბადრის უეცარ გარდაცვალებას, ჩემთვის ყოველივე ეს ძალიან საეჭვოა. დაზუსტებით ვიცი, ბოლო დროს როგორ იყო შეშფოთებული ბადრი თავისი უსაფრთხოების დაცვით და ვიცი ყოველივე ეს არა გადმოცემით, არამედ მასთან პირადი საუბრებითა და იმ კითხვებით, რომლებითაც მე მომმართავდა, მათ შორის, აქ რუსეთის ტერიტორიაზეც. ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ მისი უეცარი გარდაცვალება, უშუალო კავშირშია ბოლო ორი წლის განმავლობაში მიმდინარე საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებასთან და იმასთან, რაც ბადრი პატარკაციშვილის პერსონის ირგვლივ ტრიალებდა და ხდებოდა.

**– თუ დარწმუნებული ხართ, რომ ეს მკვლელობა იყო, ვის კვალს ხედავთ მომხდარ მკვლელობაში, რუსეთის, ბორის ბერეზოვსკის თუ საქართველოს...**

– თუ ვინმეს ბადრის სიკვდილი ხელს აძლევდა, ეს იყო, უპირველეს ყოვლისა, ქართული რეჟიმი, რომელიც დღეს საქართველოს ხელისუფლებაშია. ბადრის გარდაცვალება ასევე ხელს აძლევდათ ამერიკელებს, რომლებიც ყველაფერს აკეთებენ, რათა საქართველო ნატოში გააწევრიანონ. ბადრი პატარკაციშვილი კი იყო ის ადამიანი, რომელიც წუხდა საქართველოს ბედზე და კარგად ესმოდა, რომ საქართველო და რუსეთი ერთმორწმუნე, მრავალი საუკუნის თანაცხოვრების მქონე ქვეყნები არიან. ყველაფერი, რაც საქართველოს ნატოში გაწევრებას ეხება, ბადრი რომ ცოცხალი ყოფილიყო, შესაძლოა, ცოტა სხვა ელფერი და სხვა მიდგომა ჰქონოდა.

**– 120 ადამიანისგან შემდგარი, მაღალკვალიფიციური პირადი დაცვის პირობებში, რამდენად შესაძლებლად და ადვილად გეჩვენებათ ადამიანის მკვლელობა?**

– სულ ვამბობდი, რომ მთავარია არა რაოდენობა, არამედ უსაფრთხოების სისტემის არსებობა. მან უნდა იმუშაოს უმწიკვლოდ. სამწუხაროდ, ბოლო წელიწადნახევრის განმავლობაში ბადრის პირად დაცვასთან პირდაპირი კავშირი არ მქონდა და მხოლოდ კონსულტაციებითა და რჩევებით შემოვიფარგლებოდით.

**– იქნებ სხვა მტრებიც ჰყავდა?**

– ბადრის სხვა მტრებს არ ვიცნობ. მას არ ჰყავდა მტრები ბიზნესში, მას ყოველთვის ყველასთან, ნორმალური და კონსტრუქციული ურთიერთობები ჰქონდა და, რაც მთავარია, მას შეეძლო თამაშების მართვა. საქართველოს ახლანდელ ხელისუფლებაში თამაშის არავითარი წესი არ არსებობს, არც რეპუტაცია და არც სხვა რამე სახის წესი არსებობს. ეს არის ხალხი რეპუტაციის, სინდისის და, რაც მთავარია, იმ ქართული სულის გარეშე, რომლის შესახებაც ასე ძალიან გვიყვარს საუბარი რუსეთში.

**– აპირებთ თუ არა თბილისში, ბადრი პატარკაციშვილის დაკრძალვაზე ჩამოსვლას?**

– სამწუხაროდ, ცნობილი მიზეზების გამო, თბილისში ჩამოსვლას ვერ მოვახერხებ. როგორც მოგეხსენებათ, დიდი ბრიტანეთის მიერ ძებნაში ვარ გადაცემული, ასე რომ, ვგონებ, საქართველოს ხელისუფლება „დიდი სიხარულით“ შემხვდება საზღვარზე. რა თქმა უნდა, ჩამოვლენ დაკრძალვაზე ჩემი უახლოესი ნათესავები და პარტნიორები.

ესაუბრა
**ეკა მომცელიძე**



**საქართველოს სახალხო დამცველი**

# წინასწარი გამოძიების ჩატარებას მოითხოვს

**აქციები გრძელდება ათონელის ქუჩაზე, მოძრაობა „ერთიანი საქართველოსთვის“ ოფისთან. მისი მონაწილეები უკანონოდ მიიჩნევენ შენობაში დაცვის პოლიციის თანამშრომლების ყოფნას და შენობის დაბრუნებას მოითხოვენ**

სახალხო დამცველმაც შეისწავლა გიორგი ათონელის ქუჩა №27 მდებარე 137 კვ.მეტრი მიწის ნაკვეთისა და მასზე მოთავსებული შენობის საკითხი, რომელიც ყოფილი თავდაცვის მინისტრთან, ირაკლი ოქრუაშვილთან ერთად კიდევ 10 ადამიანს ეკუთვნის. შენობა სასამართლოს ბრძანების თანახმად დაყადაღებულია და მას დაცვის პოლიცია იცავს. სახალხო დამცველის აზრით, შენობაში დაცვის პოლიციის ყოფნა და მფლობელთათვის შენობით სარგებლობის ხელშეშლა უკანონოა.

საქმის შესწავლის შედეგად გამოირკვა, რომ მთლიან ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ სასამართლოს ბრძანების კანონიერება მხარეს სადავოდაც რომ არ მიაჩნდეს, მათი საკუთრების უფლება დარღვეულია დაცვის პოლიციის დეპარტამენტის მიერ. სასამართლომ ყადაღა მხოლოდ იმ მიზნით დაადო შენობას, რომ იგი არ გასხვისებულიყო. შესაბამისად, არავის არა აქვს უფლება ხელი შეუშალოს მესაკუთრეებს დაყადაღებული ქონებით სარგებლობაში.

2008 წლის 15 თებერვალს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებმა ადგილზე დაათვალიერეს დაყადაღებული შენობა-ნაგებობა. შესასვლელში მათ დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა განუმარტეს, რომ დავალებული აქვთ ობიექტის დაცვა, რაც გულისხმობს იმას, რომ აკრძალული აქვთ შენობაში ნებისმიერი პირის, მათ შორის მესაკუთრეების შეშვება. მათ, მოთხოვნის მიუხედავად, მიცემული დავალების დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოადგინეს.

საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2005 წლის 23 მარტის №266 ბრძანებით, განსაზღვრულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის – დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ფუნქციები და ამოცანები. ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, დადებული ხელშეკრულების ფარგლებში დაცვის პოლიციის დეპარტამენტის ამოცანებია მესაკუთრის ქონებისა და კანონიერი ინტერესების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან. ამავე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, დაცვის პოლიცია უფლებამოსილებებს ახორციელებს მხოლოდ დადებული ხელშეკრულების მიხედვით. ამ დებულებისა და საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ საქართველოს კანონის შესაბამისად, დაცვის პოლიციაზე სახელმწიფო კონტროლს ახორციელებს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრო. სამინისტროს უფლებამოსილებები დაცვის პოლიციის მიმართ შემოიფარგლება დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თავმჯდომარის თანამდებობაზე დანიშვნით და საფინანსო-ეკონომიკური კონტროლით. შესაბამისად, შეუძლებელია ობიექტის დაცვის ბრძანება გაცემული იყოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ.

ამიტომ, აბსოლუტურად გაურკვეველია, რომელ პირთან, ან რომელ ორგანიზაციულ წარმონაქმნთან წარმოეშვა ობიექტის დაცვის ვალდებულება დაცვის პოლიციას.

ასევე, დადგენილია ის გარემოება, რომ დაცვის პოლიციის კანონსაწინააღმდეგო ქმედების გამო ქონების მესაკუთრეებს ხელი ეშლებათ საკუთრების ფლობასა და სარგებლობაში.

დარღვეულია საქართველოს 21-ე მუხლით განსაზღვრული და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველი მუხლით გარანტირებული საკუთრების უფლება. კერძოდ, ფიზიკური პირების უფლება – შეუფერხებლად სარგებლობდნენ თავისი საკუთრებით.

სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საჯარო სამართლის იურიდიული პირის, დაცვის პოლიციის დეპარტამენტის უფროსს ზაზა გელაშვილს, დაუყოვნებლივ აღკვეთოს შენობის უკანონო დაცვა, რათა მესაკუთრეებმა მათ მფლობელობაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობა შეძლონ.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ გამოვლენილია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 333-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნები და ამ ფაქტზე წინასწარი გამოძიების წარმოება სამართალდამცავი ორგანოების კომპეტენციას მიეკუთვნება. შესაბამისად, სახალხო დამცველმა რეკომენდაციით მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურორს ეკა ტყეშელაშვილს და დაცვის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომელთა მიერ სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების ფაქტზე წინასწარი გამოძიების ჩატარება მოითხოვა.

მოამზადა
**ნატა ნიბლაძე.**





# დღეს

● აშშ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრის მნიშვნელობას ერთიანი საქართველოს ფარგლებში ზემოთ აღნიშნული პრინციპების საფუძველზე



◎ დიპლომატია

# ყველა სახელმწიფოს მოუწოდებენ, კვლავ დაადასტურონ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა

## საქართველოში აშშ-ის საელჩოს განცხადება

აშშ-ის საელჩო საქართველოში კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადებასთან დაკავშირებით განცხადებას ავრცელებს, რომელშიც აღნიშნულია, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ ქმნის პრეცედენტს სხვა რეგიონების თვის.

„აშშ-ს ყოველთვის მიაჩნდა და მიაჩნია, რომ მსოფლიოში არსებული ნებისმიერი სეპარატისტული კონფლიქტი უნიკალური შემთხვევაა. მართლაც, კოსოვოს სიტუაცია განსაკუთრებული შემთხვევაა და იგი არ ქმნის პრეცედენტს სხვა რომელიმე რეგიონისათვის, მათ შორის არც აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის რეგიონებისთვის საქართველოში", – ნათქვამია განცხადებაში.

აშშ-ის საელჩო საქართველოში საერთაშორისო საზოგადოების ყველას წევრს მოუწოდებს, თავი აარიდონ საჯარო განცხადებებს, რომლებმაც შეიძლება საფრთხე შეუქმნას აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრის შესაძლებლობას.

„ამ კონფლიქტების ნებისმიერი სხვა და არა მშვიდობიანი კომპრომისით მოგვარების მცდელობა ქმნის მშვიდობისა და სტაბილურობის დარღვევის რისკს კავკასიის მთელ რეგიონში. მოვუწოდებთ ყველა სახელმწიფოს, კვლავ დაადასტურონ საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერა საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ არაერთგზის მიღებული რეზოლუციების შესაბამისად", – აღნიშნულია განცხადებაში.

აშშ-ის საელჩო საქართველოში განმარტავს, რომ სხვადასხვა ფაქტორის უჩვეულო კომბინაცია კოსოვოში მოიცავს გაეროს უშიშროების საბჭოს კონკრეტულ რეზოლუციას, რომელიც ითვალისწინებდა კოსოვოს სტატუსის განსაზღვრის პროცესსა და გაეროს გარდამავალი ადმინისტრაციის გახანგრძლივებულ პერიოდს. გაეროს უშიშროების საბჭოს 1244 რეზოლუცია მიზნად ისახავდა კოსოვოს მომავალი სტატუსის განსაზღვრას პოლიტიკური პროცესის მეშვეობით, და ასევე ითვალისწინებდა დამოუკიდებლობის შესაძლებლობას. ყოველივე ამით კოსოვო ძირეულად განსხვავდება ყოველი სხვა არსებული შემთხვევისაგან.

სრულიად საპირისპიროდ, 1993 წლიდან მოყოლებული გაეროს უშიშროების საბჭოს მიერ რეგულარულად გამოქვეყნებული ყველა რეზოლუცია საქართველოს შესახებ, მათ შორის 2007 წლის ოქტომბრის 1781 რეზოლუცია, ადასტურებს აშშ-ს, რუსეთის, დიდი ბრიტანეთის, საფრანგეთის, ჩინეთისა და გაეროს უშიშროების საბჭოს ყველა სხვა წევრის მიერ საქართველოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობისა და ტერიტორიული მთლიანობის მხარდაჭერას საყოველთაოდ აღიარებულ საზღვრებში.

„აშშ კიდევ ერთხელ უსვამს ხაზს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების მშვიდობიანი მოლაპარაკებების გზით გადაჭრის მნიშვნელობას ერთიანი საქართველოს ფარგლებში ზემოთ აღნიშნული პრინციპების საფუძველზე", – ნათქვამია საელჩოს მიერ გავრცელებულ განცხადებაში.

„ჯი-ეიჩ-ენი".

◎ გლობუსი

# რა მოჰყვება

**„მთავარია რა მოჰყვება კოსოვოს აღიარებას. განაწყენებული სერბეთი და გაბრაზებული რუსეთი – ეს მხოლოდ შესაძლო პრობლემის ნაწილია. კოსოვოს დამოუკიდებლობას არ მოჰყვება ევროპის სუვერენიტეტთა პარადი? კოსოვოს პრეცედენტმა შეიძლება გამოიწვიოს დრამატული გარდაქმნები. აფხაზები დატოვებენ საქართველოს, დნეპრისპირელები მოლდოვას, კორსიკა საფრანგეთს, ბასკები ესპანეთს, ფლამანდიელები ბელგიას, ირლანდიელები ინგლისს, ტიროლელები იტალიას, ბოსნიელები და სერბები ბოსნია-ჰერცოგოვინას, ხოლო ჩრდილო კავკასიის ხალხები რუსეთს".** „ნეზავისიმაია გაზეტაში" დაბეჭდილი ეს სიტყვები ეკუთვნის საგარეო პოლიტიკაში გერმანიის საბჭოს პროგრამების დირექტორს რუსეთსა და დსთ-ს ქვეყნებში, ალექსანდრ რარს და იმ მოსალოდნელ სამომავლო სურათს ასახავს,რაც შეიძლება მოჰყვეს კოსოვოს მიერ ცალმხრივ დამოუკიდებლობის გამოცხადებას და მის დე იურედ ცნობას აშშ-ს, მისი სატელიტების და სხვა ქვეყნების მხრიდან.

გათამაშდა მეორე ვარიანტი, სარეზერვო. პირველის მიხედვით კოსოვოს საკითხის განხილვა-გადაწყვეტა გაეროს უშიშროების საბჭოს პრეროგატივა უნდა ყოფილიყო. სერბეთ-რუსეთის მოთხოვნით უშიშროების საბჭომ ამასწინათ განიხილა ეს საკითხი და უარი უთხრა აშშ-ს და მის მოკავშირეებს, თუმცა ამან ხელი არ შეუშალა მეორე ვარიანტის ამოქმედებას. ალექსანდრ რარის მოსაზრებას ბევრი ექსპერტი იზიარებს, **თუმცა არიან ისეთებიც, რომლებიც ოპტიმისტურად არიან განწყობილი და მიიჩნევენ, რომ მხოლოდ დასაწყისი იქნება მწვავე განცხადებებით აღსავსე, მეტწილად ბელგრად-მოსკოვის მხრიდან, შემდეგ ვითარება განეიტრალდება და ჩაცხრება. სწორედ მათზე დაყრდნობით აცხადებდნენ ქართული პოლიტიკური ძალების წარმომადგენლები, გარდა აკაკი ასათიანისა და გუბაზ სანიკიძისა, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არაფრით ემუქრება საქართველოს.**

კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადება და პრიშტინას ქუჩებში გამართული სახალხო ზეიმი ახალი ერის დასაწყისია არა მარტო ევროპის, არამედ მსოფლიოსათვის. **მსოფლიოს 200-ზე მეტი სეპარატიზმის იდეით შეპყრობილი მხარის თუ რეგიონის ოცნება რეალური ასრულების სტადიაში გადადის. ვინ იცის, მათი ძალისხმევა შესაძლოა ასრულდეს კიდევაც, მიუხედავად იმისა, რომ არც აშშ-ს და არც მის ევროპულ სატელიტებს არავითარი სურვილი არ აქვთ, კოსოვოს მაგალითი სხვაზე გაავრცელონ.**



ეს დღეს. თუ რა იქნება ხვალ, არავინ იცის, სულაც არ არის გამორიცხული, რომ „სამართლიანმა" დასავლეთმა ისე, როგორც დღეს, მხარი დაუჭიროს რომელიმე ხალხის თვითგამორკვევას და ზურგი შეაქციოს ქვეყნის სუვერენიტეტს და საზღვრების ურყეობას. **გაეროს დოკუმენტში აღბეჭდილი ორი ურთიერთგამომრიცხავი ფორმულა მომავალშიც ჩააყენებს მსოფლიოს გაურკვეველ მდგომარეობაში, ხოლო დიდ სახელმწიფოებს, მათ შორის აშშ-ს არასამართლიანი მექოთნის როლში. ამჯერად ქოთანს ყური ეთნიკური წმენდის, ადამიანის უფლებების მასობრივი დარღვევების გამომწვევი ბელგრადის წინააღმდეგ მიაბეს.**

9 წლის წინათ მილოშევიჩის მიერ წამოწყებულმა სამხედრო ავანტიურამ სერბეთს საკუთარი ისტორიული ტერიტორია, საკუთარი ისტორია დააკარგვინა. გასულ კვირას დასავლეთმა მას უარი უთხრა დაკარგულის დაბრუნებაზე. დასავლეთის განმარტებით, სხვას, იმათ, ვინც ზემოთ ჩამოვთვალე, იმედი არ უნდა ჰქონდეს „ამ ხმა ტკბილის საკუთარ მამულში გაგონების", ვინაიდან კოსოვოს დამოუკიდებლობა პოლიტიკური საკითხია, რომელიც კონსენსუსით შემუშავდა მსოფლიოს დიდი სახელმწიფოების მიერ. მათი დაჟინებული რჩევაა, რომ მსოფლიოს სეპარატისტებმა სწორად შეაფასონ ვითარება და საკუთარი თავი დაარწმუნონ იმაში, რომ კოსოვო მაგალითად არ გამოადგებათ.



საქართველოს, მოლდოვას და დანარჩენი სეპარატიზმით დაავადებული ქვეყნებისათვის მსგავსი განცხადება არა მარტო სასიამოვნო მოსასმენია, ისე, როგორც ლავროვის სიტყვები აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობასთან დაკავშირებით, არამედ იმედის მომცემიც, მაგრამ დიდი ხნით? ლავროვისგან დაიმედებულებმა ლამის დავლურიც დავუარეთ, მოსკოვში დესანტიც გადავსხით და პუტინთან სალაპარაკოდაც მოვემზადეთ, თუმცა იმავე ლავროვთან ბაღაფშ-კოკოითის შეხვედრამ ხასიათი გაგვიფუჭა. საქართველო-რუსეთის ურთიერთობა ძველ კალაპოტს დაუბრუნდა. **სააკაშვილის მკაცრი სიტყვები, რუსეთის ელჩის საგარეო უწყებაში დაბარება და საპროტესტო ნოტის გადაცემა, არცთუ სასიამოვნო უვერტიურაა მოსკოვის მოლაპარაკების წინ.**

**კოსოვის დამოუკიდებლობა უდავოდ გამოიწვევს დაძაბულობის ესკალაციას სეპარატიზმით დაავადებული ქვეყნების ცენტრებსა და რეგიონებს შორის, გაზრდის ვერბალურ ომს, პოლემიკას, მუქარას. სეპარატისტებისათვის კოსოვოს „უნიკალურობა" ნაკლებად შემაფერხებელი ბარიერი იქნება. მათ სხვა მაგალითების მოყვანაც შეუძლიათ, როდესაც დასავლეთმა მკვეთრად შეიცვალა პოზიცია და სეპარატისტის ქმედება მისაღებად ჩათვალა. ის, რომ კოსოვოდან გამომდინარე სხვა სეპარატისტების დამოუკიდებლობას დე იურედ არავინ აღიარებს, ყოველ შემთხვევაში უახლოეს მომავალში, მათ აღელვებთ, მაგრამ ეს არ გახდება ოცნებების ასრულების მთავარი შემაფერხებელი. დასამშვიდებლად ძველი მაგალითებიც ეყოფათ, მაგალითად გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, ჩრდილოეთ კვიპროსი და სხვა, თუმცა კვიპროსის ჩრდილოეთს მხოლოდ თურქეთი ცნობს, მაშინ, როდესაც კომუნისტური გერმანია გაცილებით უკეთეს პირობებში იყო, ოღონდ დასაწყისში სხვა სახელმწიფოების, განსაკუთრებით დასავლეთის მხრივ მასაც ჰქონდა პრობლემები.**

ცხა წლის წინათ კოსოვოს წინააღმდეგ დაწყებული ომი ალბანელთათვის წარმატებით დამთავრდა. მხოლოდ 9 წელი და დამოუკიდებლობა! აფხაზი და ოსი სეპარატისტები მიიჩნევენ, რომ მათ ბრძოლას დამოუკიდებლობისთვის მეტი ისტორია აქვს. რა გაეწყობა, მსგავსი ბევრი მოსაზრების და გამონათქვამის ატანა მოგვიწევს.

ფინელი აჰტისაარის დოკუმენტში მეორე ვარიანტიც იყო ნახსენები, რომელიც იმ შემთხვევაში ამოქმედდებოდა თუ უშიშროების საბჭოს ხუთი მუდმივი წევრიდან რომელიმე

№ 32. ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2008 წელი.

# დღეს

● „ამ ქვეყნებს აფხაზეთთან გარკვეული კავშირი აქვთ. უკრაინა, მაგალითად, დამნაშავეა აფხაზეთის წინაშე, ვინაიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს საქართველოს უჭერდა მხარს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით კი ამ ბრალეულობას ნაწილობრივ მაინც გამოისყიდიდა აფხაზეთის წინაშე და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს გაიუმჯობესებდა“, — აცხადებს აშუბა.



◎ ვარაუდი

## „უკრაინას შეუძლია ჩვენ წინაშე ბრალეულობის ნაწილობრივ მაინც გამოსყიდვა“

**სეპარატისტული აფხაზეთის პარლამენტის ე. წ. სპიკერი ნუგზარ აშუბა დარწმუნებულია, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის პრეცედენტი აუცილებლად იქონიებს გავლენას აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე.**

„აფხაზეთის დამოუკიდებლობა ჯერ კიდევ 1999 წელს უნდა მომხდარიყო ხალხის ნების საფუძველზე. შავი ზღვის აუზში ნაკლები პრობლემა შეიქმნებოდა და კავკასიაც მშვიდად იქნებოდა“, — აცხადებს აშუბა და დასძენს, რომ რა პარადოქსულადაც არ უნდა ჟღერდეს, ეს თავად საქართველოსთვისაც იქნებოდა მომგებიანი.







მისი თქმით, აფხაზეთი მის მიმართ მეგობრულად განწყობილმა სახელმწიფოებმა რომ აღიარონ, ამით საქართველოც დამშვიდდება და თავის საშინაო და საგარეო პოლიტიკას მოუვლის, ამავე დროს, აფხაზეთთანაც ურთიერთობებს „სუფთა ფურცლიდან“ დაიწყებს.

აშუბა დარწმუნებულია, რომ ისეთმა ქვეყნებმა, როგორებიცაა უკრაინა და თურქეთი, პირველებმა უნდა ცნონ აფხაზეთის დამოუკიდებლობა, ვინაიდან ისინი, შავი ზღვის აუზის მხრივ, აფხაზეთის ყველაზე ახლო მეზობლები არიან.

„ამ ქვეყნებს აფხაზეთთან გარკვეული კავშირი აქვთ. უკრაინა, მაგალითად, დამნაშავეა აფხაზეთის წინაშე, ვინაიდან ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს საქართველოს უჭერდა მხარს. აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებით კი ამ ბრალეულობას ნაწილობრივ მაინც გამოისყიდიდა აფხაზეთის წინაშე და კეთილმეზობლურ ურთიერთობებს გაიუმჯობესებდა“, — აცხადებს აშუბა.

რაც შეეხება რუსეთის ფედერაციას, აფხაზეთი მასზე უდიდეს იმედებს ამყარებს.

„გვჯერა , რომ რუსეთი თავის ისტორიულ როლს შეასრულებს აფხაზეთის აღიარების საკითხში და სამუდამოდ დარჩება არა მხოლოდ კავკასიის, არამედ მთელი ევროაზიური სივრცის მშვიდობის გარანტად“, — აცხადებს აშუბა.

**„ჯი-ეიჩ-ენი“.**

◎ გლობუსი

## კოსოვოს?

ვეტოს დაადებდა აჰტისაარის გადაწყვეტილებას; ცხადია იმთავითვე ვეტოსდამდებად რუსეთი მოიაზრებოდა, რომელმაც პირველმა გამოთქვა უკმაყოფილება აჰტისაარის დოკუმენტისადმი. უპირველეს ყოვლისა რუსეთი უკმაყოფილო იყო კოსოვოში მცხოვრები სერბების თავისუფლებებთან და უფლებებთან, უფრო სწორედ უუფლებობასთან დაკავშირებით. დოკუმენტში აღინიშნა, რომ 9 წლის განმავლობაში კოსოვოში სისტემატურად ირღვეოდა სერბი უმცირესობის უფლებები და ეს მაშინ, როდესაც კოსოვოში უხვად იყვნენ (22.000ძ გაეროს, ევროკავშირის, ეუთოსა და ნატოს წარმომადგენლები. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ რა გარანტიაა, რომ ამ პრობლემებს ადგილი არ ექნება? **მიუხედავად იმისა, რომ დასავლეთი უხვად იყო წარმოდგენილი კოსოვოში, 9 წლის განმავლობაში არ შექმნილა კოსოვოში ლტოლვილების დაბრუნებისათვის საჭირო გარანტიები. გაეროს მონაცემებით 226.000 სერბი ლტოლვილიდან მხოლოდ 6 პროცენტი დაბრუნდა. დაბრუნებულები 33 რეზერვაციის მსგავს ანკლავში ცხოვრობენ და შიშით იშვიათად გამოდიან საკუთარი ანკლავის საზღვრიდან.** დოკუმენტში არაფერია ნათქვამი ეკონომიკასთან და მოსახლეობის დასაქმებასთან დაკავშირებით. **კოსოვოს მოსახლეობის 70 პროცენტი უმუშევარია. უმუშევრობასთან ერთად კოსოვოში ნარკოტრეფიკი ყვავის. ევროპის ქვეყნებში შესული ნარკოტიკების 90 პროცენტი კოსოვოდან მიედინება. ნარკოტრეფიკში, სამწუხაროდ, კოსოვოში ეუთოს ხაზით მომუშავე ქართველი დიპლომატიც იყო ჩართული. ის იტალიაში დააკავეს.**

ბალკანეთს ერთი დროს ყველაზე მრავალეროვან სერბიას კიდევ ერთი ნაწილი, ისტორიული ჩამოაჭრეს. კოსოვოს ტერიტორია სერბეთის ტერიტორიის 15 პროცენტს შეადგენს. რაც მართალია, მართალია: მრავალი ათეული წლის განმავლობაში ბელგრადმა ვერ მოახერხა კლანური ალბანური თემის ინტეგრირება, მისთვის ეკონომიკური პირობების შექმნა, მხარის ეკონომიკურად დაახლოება. **ის, რომ კოსოვო სერბეთის შუასაუკუნეების კულტურისა და სახელმწიფოებრიობის აკვანია, დასავლეთს არ აღელვებს, ისე, როგორც არ აალელვებს საქართველოს ისტორია — აფხაზეთსა და სამხრეთ-ოსეთთან მიმართებაში.**

სამართლებრივი თვალსაზრისით, კოსოვოს შემთხვევაში, ადგილი აქვს საერთაშორისო სამართლის ორ პრინციპს: ჯარს — ტერიტორიული მთლიანობისათვის და ერების და ხალხების თვითგამორკვევის უფლებებს. 1975 წლის ჰელსინკის დასკვნით აქტში ამ ორ პრინციპს შორის ბალანსის შექმნის მცდელობა იყო. არსებითად აღიარეს კიდევაც, რომ გამოყოფა და ახალი სახელმწიფოს შექმნა თვითგამორკვევის უკიდურესი ფორმაა. მაშინ გამოცხადდა, რომ ყველა სახელმწიფომ პატივი უნდა სცეს ტერიტორიული მთლიანობის პრინციპს. სამწუხაროდ განცხადება, განცხადებად დარჩა. ის არავის გახსენებია ჩეხოსლოვაკიის, იუგოსლავიის, საბჭოთა კავშირის დაშლის დროს. აქედან გამომდინარე, მივიღეთ ტერიტორიული მთლიანობის პრინციპის ეროზია. თვითგამორკვევამ დაჯაბნა ის. გამოკვეთილია ისიც, რომ თვითგამორკვევის შედეგად მოპოვებულ დამოუკიდებლობას ბევრი მხარდამჭერი ჰყავს. გადაწყვეტილება კოსოვოსთან მიმართებაში საერთაშორისო სამართლის საპროცედურო ნორმებით არის გათვალისწინებული და გამომდინარეობს პოლიტიკური მიზანშეწონილობიდან.

კოსოვოსთან პარალელების გავლება კიდეც შეიძლება და კიდეც — არა. ყველას თავისი განსხვავებული ისტორია აქვს, მაგრამ არის საერთოც.




**ახალი სახელმწიფოების შექმნის რესურსი ჯერაც არ ამოწურულა. წინ დღევანდელი ფედერაციების საკითხია და არ არის გამორიცხული მათი დაშლაც. იმისთვის, რომ ეს არ მოხდეს, საჭიროა ყველა ქვეყანამ, მათ შორის ჩვენმაც, პრობლემის მოგვარება არა მარტო საერთაშორისო სამართალში ეძებოს, არამედ საკუთარ კონსტიტუციაშიც. ფედერალურმა ცენტრმა ყველაფერი ისე უნდაააწყოს, რომ ფედერაციას შესაბამისი მმართველობითი ფუნდამენტი შეუქმნას მისი სუბიექტებისთვის დიდი უფლებამოსილებით. ვგონებ, საქართველომ დააგვიანა. საქართველოს ორივე ხელისუფლება, თავიდან ბოლომდე, დასავლეთს მიენდო და მის იმედით, იმის ნაცვლად, რომ საქმისათვის რეალური პოლიტიკიდან გამომდინარე მიეხედა, პატრიოტული რიტორიკით და ცხინვალ-სოხუმ-მოსკოვის ლანძღვა-გინებით გაერთო, რითაც იმ ქალაქებში ისეთი იმიჯი შეიქმნა, რომ ერთი შეხვედრა, თუნდაც უმაღლეს დონეზე, პრობლემას ვერ მოაგვარებს. დასავლეთისა კი პირადად არ მჯერა. არავინ იცის, ხვალ რა ტერმინს მოგვისადაგებს, „კონკურენტული“ არჩევნებისა არ იყოს.**

კოსოვოს დამოუკიდებლობამ გაანაწყენა რუსეთი. მოსკოვი არ მალავს საკუთარ განზრახვას, ცხოვრება გაურთულოს დასავლეთს და მის პროტეჟე კოსოვოს. რუსეთი წინააღმდეგი იქნება კოსოვოს გაეროში გაწევრიანების. ახალი სახელმწიფოს გაეროში გაწევრიანების ინიციატივით და რეკომენდაციით უშიშროების საბჭო გამოდის.იქ კი რუსეთი ვეტოს დაადებს.

რუსეთის საგარეო უწყებას კონტრღონისძიებათა სიაც აქვს ჩამოწერილი, სადაც ჩვენი ყოფილი ავტონომიებიც ფიგურირებენ. და თუ მათი დამოუკიდებლობა აღიარა რუსეთმა, ვეჭვობ, რომ მისი მაგალითი სხვამ არ გაიზიაროს.

დასავლეთის მხრიდან რუსული ფაქტორისადმი ზერელე დამოკიდებულება თვით დასავლეთს არ წაადგება, როგორც ალექსანდრ რარი აცხადებს, პეტრე პირველიდან დაწყებული, რუსეთს გავლენა ჰქონდა ევროპის პოლიტიკაზე და საეჭვოა მან ეს პოზიცია დათმოს.

**ჰამლეტ ჭიპაშვილი**
პოლიტოლოგი

◎ ინფორმაცია

### მეღოევს ჰგონია ქართველები ომს დაიწყებენ

**მოსკოვში ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლის დიმიტრი მეღოევის მტკიცებით, კოსოვოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს გორის ბრიგადა მაღალი საბრძოლო მზადყოფნის რეჟიმზეა გადასული. ამის შესახებ მეღოევმა რუსულ გამოცემა „უტროს“ განუცხადა.**

**მისი თქმით, დე-ფაქტო რესპუბლიკის საზღვრებთან ქართული მხარე სამხედრო-საინჟინრო სამუშაოებს აწარმოებს, საფორტიფიკაციო ნაგებობებს ამაგრებს და ბლოკპოსტებს აწყობს.**

**თბილისის მხრიდან სამხედრო რიტორიკა არ წყდება. სააკაშვილი აცხადებს, რომ სამხრეთ ოსეთის საკითხი მალე გადაწყდება. რას ნიშნავს ეს “მალე“, კარგად ვიცით. საქართველოსა და სამხრეთ ოსეთს შორის სიტუაციის განვითარების თვალსაზრისით ძალიან სახიფათო მომენტი დადგა. კოსოვოს საკითხთან დაკავშირებით კავკასიაში ომის განახლების საფრთხე ბევრად გაიზარდა, — აცხადებს მეღოევი.**

**იგი არ გამორიცხავს, რომ თბილისი სწრაფი სამხედრო ოპერაციის ჩატარებაზე ვაშინგტონისგან თანხმობას მიიღებს. თუმცა, მეღოევი აქვე დასძნეს, რომ ცხინვალი თავდაცვისუნარიანობას ამაღლებს და აგრესიის მოსაგერიებლად მზად არის.**

**ცხინვალის დე-ფაქტო რეჟიმის წარმომადგენლის მტკიცებით, მიხეილ სააკაშვილი მზად არის, კოსოვოს დამოუკიდებლობა აღიაროს, მაგრამ საქართველოს შიდა-რეაქციის შიშით იგი ამისგან თავს იკავებს. მეღოევის თქმით, სააკაშვილის პოზიციის შესახებ მისივე გარემოცვისგან შეიტყო.**

**მისი შეფასებით, კოსოვოს საკითხს საერთაშორისო თანამეგობრობა ორმაგი სტანდარტებით უდგება.**

**ინტერპრესნიუსი**

# თავო ჩვენო...

„თავს მოგაჭრი, პარკში ჩავდებ და შენს ოჯახს გავუგზავნი! გაჩერდი! მუშაობას თავი დაანებე, თორემ უეჭველი მოგკლავთ. ბიჭო, შენ იცი, ვის გვიმეტებ?! ხომ იცი, რომ ჩვენთვის პრობლემა არ არის, შუბლი გაგიხვრიტოთ?! საბარგულში ჩაგტენით და შენს გვამს ნადირს შევაჭმევთ! ვერც კი დაგიტირებენ“!



## გარიგება ხვნაში ჯობს

*„საზოგადოებრივი მაუწყებლის“ მიზანია ემსახუროს საზოგადოების ინტერესებს და მიიზიდოს აუდიტორია, რომელსაც ერთ-ერთი გადამწყვეტი ადგილი უკავია საზოგადოებრივი აზრის ფორმირებაში. საზოგადოებრივი მაუწყებლის არსებობა უნდა ავიყვანოთ ეროვნული უშიშროების რანგში. მან უნდა ასახოს სახელმწიფოს კურსი საშინაო, საგარეო და ეკონომიკურ საკითხებში, ასევე მას ეკისრება სახელმწიფო პოლიტიკის რეალიზაცია, რომელიც დაფუძნებულია საზოგადოების უფლებების დაცვაზე და მათ მოთხოვნებზე.*

# რეალურად უნდა ვაფასებდეთ საზოგადოებრივ მოთხოვნებს...

## კონცეფცია „საზოგადოებრივი მაუწყებლის“ შესახებ

საზოგადოებრივ მაუწყებელს მოეთხოვება, დაადგინოს საზოგადოებისთვის საინტერესო საკითხები და დაამყაროს მასთან უშუალო კავშირი. ეს შესაძლებელია საზოგადოებასთან გულწრფელი ურთიერთობით, მოვლენებში აქტიური მონაწილეობით, ჟურნალისტური გამოძიებებითა და საზოგადოებრივ საკითხებზე ყურადღების გამახვილებით. იგი უნდა იყოს საზოგადოების მოთხოვნათა გარანტი, ვალდებულია შეისწავლოს საზოგადოების მოტივაციური სტრუქტურა. ასევე, საგანგებოდ შეიმუშაოს საზოგადოებრივი აზრი და გაავრცელოს სამაუწყებლო საშუალებებით.

საზოგადოებრივი აზრის ფორმირებისას, აუცილებელია მიზნის გაცნობიერება და მისი გათვალისწინება, თუ ამ მიზნის მიმართულებით გადადგმულ ნაბიჯს რა შედეგი შეიძლება მოყვეს. ასევე, რა ვითარებაა შექმნილი მოცემულ მომენტში მთლიანად სოციალურ გარემოში, ამ შემთხვევაში, საზოგადოებრივი მაუწყებლის ფუნქციაა, გაითვალისწინოს ეს და მისი პროგრამებით მიიზიდოს აუდიტორია. ამასთან, სასურველია და ეკონომიკურად გამართლებულია საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამების მომზადება და გავრცელება ერთი იურიდიული პირის ხელში იყოს თავმოყრილი, რათა, სერტიფიკაციის საფუძველზე, სრულყოფილად (ოპტიმალურადძ გატარდეს სამაუწებლო სისტემის განვითარების საპროგრამო, სამეცნიერო და ტექნიკური პოლიტიკა.

პროგრამების ფორმირებაზე გავლენას ახდენს საზოგადოება, რომელიც ითხოვს შემეცნებითი, სოციალური ან პოლიტიკური შინაარსის გადაცემებს. წარმატებული მენეჯმენტის პირობებში შესაძლებელია პროგრამების ოპტიმალური შერჩევა და განთავსება სამაუწყებლო ბადეში.

სრულყოფილი პროგრამების ფორმირებისას აუცილებელია გავითვალისწინოთ: სამთავრობო ორგანოებთან და საზოგადოებასთან ურთიერთობის დამყარება და მათი ინტერესების დამაკმაყოფილებელი პროგრამების შექმნა.

არსებითი მნიშვნელობა აქვს პროგრამების დაგეგმვას, შექმნას, გაშვებას და კონტროლს. საჭიროა დავადგინოთ მაყურებელთა რეიტინგი, მოთხოვნები, ინტერესები და პრობლემები.

გადაცემებში პერიოდულად უნდა აისახოს გადაცემული პროგრამების კავშირი საზოგადოების პრობლემებთან, რაც მოითხოვს მოსახლეობასთან უშუალო კავშირს, ჟურნალისტურ გამოკვლევას სხვადასხვა სახის მოვლენათა მიმართ, ხშირად მოვაწყოთ რადიო და ტელემარათონები და გავაშუქოთ სოციალური პირობების დაცვის საკითხები. საზოგადოებას მივცეთ საშუალება, დაიცვას საკუთარი ინტერესები ჯანმრთელობის, შემეცნების, ფინანსურ, სოციალურ და სხვა საკითხებზე.

აუცილებელია, გავითვალისწინოთ ქვეყნის ეთნიკური შემადგენლობის ცვლილებები, უმცირესობის პროცენტულად ზრდის ტენდენცია და მათი აუდიტორიის მოთხოვნები. ასევე, გასათვალისწინებელია ინტერნეტის გამოყენების სწრაფი გავრცელების ტენდენცია.

აუცილებელია, განვსაზღვროთ და დავამტკიცოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის წესდება;

დამტკიცებული წესდების შესაბამისად, შევიმუშაოთ საზოგადოებრივი მაუწყებლის სრულყოფის ტექნიკურ-ეკონომიკური პირობები;

განვსაზღვროთ საზოგადოებრივი მაუწყებლის საშტატო განრიგი;

ჩავატაროთ სამაუწყებლო საშუალებათა ინვენტარიზაცია, შევიმუშაოთ მისი მოდერნიზაციის პირობები, შესაბამისი პროექტი და განვსაზღვროთ ფინანსირების წყაროები;

მივაღწიოთ, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის პროგრამები აღწევდეს ყველა ოჯახში;

ავამაღლოთ პროგრამების მენეჯერის პასუხისმგებლობა პროგრამების ფორმირებაზე, გავრცელებასა და კონტროლზე;

დაიგეგმოს პროგრამები მოსახლეობის გარკვეული ჯგუფისთვის, რომელიც განისაზღვრება ასაკით, ეთნიკური ან სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებით;

საინფორმაციო გადაცემების მასალები მოეწყოს ციკლურად ერთი და იმავე პერიოდით, ასევე, განისაზღვროს რეკლამების სიხშირე და ხანგრძლივობა;

პროგრამები უნდა შეესაბამებოდეს საზოგადოებრივი ინტერესების დაკმაყოფილების ვალდებულებების შესრულებას;

საეთერო დრო იყოს მრავალფეროვანი, მაყურებელთა და მსმენელთა ინტერესების გათვალისწინებით;

ოპტიმალურად განვსაზღროთ სამაუწყებლო ქსელის სიმძლავრე, გავრცელების ზონა და სეზონური ცვლილებები;

რეალურად შევაფასოთ საზოგადოების მოთხოვნები, აგრეთვე, სხვა საკითხები და პრობლემები, რომლებიც უნდა განსაზღვროს და შეათანხმოს დამფინანსებელთან სამეურვეო საბჭოს ახალმა შემადგენლობამ.

სამეურვეო საბჭოს თავმჯდომარედ უნდა შეირჩეს პიროვნება, რომელიც ღრმად ერკვევა სახელმწიფო პოლიტიკაში, ფინანსებში და, რაც მთავარია, საზოგადოებასთან ურთიერთობებში. ასევე, აღიარებს კანონის უზენაესობას, სახელმწიფო საკანონმდებლო და აღმასრულებელი ორგანოების სრული დემოკრატიული გზით არჩევას, ეროვნული თვითმყოფადობის შემეცნებას, თავდადებულ შრომას და მოთმინების უნარს.

**გიორგი გაბესკირია,**
საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრობის კანდიდატი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი, კავშირგაბმულობის საერთაშორისო აკადემიის წევრი, პროფესორი.

## კონფლიქტური სიტუაცია

# კახელები ხელისუფლებას სიცრუეში დებენ ბრალს

**კახეთის რეგიონში მცხოვრებლები ხელისუფლებას სიცრუეში ადანაშაულებენ.**

როგორც არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრში“ განაცხადეს, ხელისუფლების დაპირება ელექტროენერგიის დავალიანების ჩამოწერასთან დაკავშირებით ტყუილი აღმოჩნდა.

„კახეთის რეგიონის სხვადასხვა რაიონში მცხოვრები მოქალაქეების თქმით, წინასაარჩევნოდ, მიხეილ სააკაშვილმა არაერთხელ განაცხადა, რომ საქართველოს მთავრობასა და ენერგოკომპანიებს შორის მიღწეული შეთანხმების შესაბამისად, როგორც დედაქალაქში, ასევე რეგიონებში, მოსახლეობა 2007 წლის 1 ივნისამდე მოხმარებული ელექტროენერგიის დავალიანების გადახდისგან გათავისუფლდებოდა.

საქართველოს პრეზიდენტობის მაშინდელი კანდიდატის ეს განცხადება ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენლებმა იმავე დღეს დაადასტურეს. დავალიანების ჩამოწერის შესახებ ენერგოკომპანიებმა აბონენტებს წერილობით არჩევნებამდე აცნობეს. არჩევნების შემდეგ კი აღმოჩნდა, რომ დავალიანება არ ჩამოწერილა. მის გადახდას „კახეთის ენერგოდისტრიბუცია“ ისევ მოითხოვს, ურჩ გადამხდელებს კი ელექტროენერგიის გარეშე ტოვებენ, – განაცხადეს ორგანიზაციაში.

მათივე ინფორმაციით, ენერგოკომპანიის ხელმძღვანელი ზურაბ დილმელაშვილი ადასტურებს, რომ ელექტროენერგიის დავალიანება არ ჩამოწერილა. მისი თქმით, ს/ს „კახეთის ენერგოდისტრიბუციის“ მიმართ თელავის სასამართლოში გახსნილია საქმე მის გაკოტრებასთან დაკავშირებით, შესაბამისად გადაწყვეტილებებს სასამართლო იღებს. ასეთი გადაწყვეტილების მისაღებად კი სასამართლოსთვის არავის მიუმართავს.

**ინტერპრესნიუსი**



## ვითარება

# გრიგორიანი ჟურნალისტს მოკვლით დაემუქრა

**კახეთის რეგიონში მომუშავე ჟურნალისტი გელა მთივლიშვილი, საოლქო პროკურატურას იმ ჯგუფის მფარველობაში ადანაშაულებს, რომელიც მას სიცოცხლის მოსპობით დაემუქრა.**

ამის შესახებ არასამთავრობო ორგანიზაცია „ადამიანის უფლებათა ცენტრში“ განაცხადეს.

მათივე ინფორმაციით, 3 თებერვალს, ღამით, ჟურნალისტის მობილურ ტელეფონზე უცნობმა დაურეკა და დაემუქრა: **„თავს მოგაჭრი, პარკში ჩავდებ და შენს ოჯახს გავუგზავნი! გაჩერდი! მუშაობას თავი დაანებე, თორემ უეჭველი მოგკლავთ. ბიჭო, შენ იცი, ვის გვიმეტებ?! ხომ იცი, რომ ჩვენთვის პრობლემა არ არის, შუბლი გაგიხვრიტოთ?! საბარგულში ჩაგტენით და შენს გვამს ნადირს შევაჭმევთ! ვერც კი დაგიტირებენ“!.**

მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გამოძიება შს გურჯაანის სამმართველომ დაიწყო. როგორც არასამთავრობო ორგანიზაციაში განმარტეს, პროკურატურისთვის ცნობილია იმ პირის ვინაობაც, რომელმაც ჟურნალისტს დაურეკა. თბილისში მცხოვრები გრიგორიანი გამომძიებლისთვის მიცემულ ჩვენებაში აღნიშნავს, რომ ჟურნალისტს ნამდვილად დაუკავშირდა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა, ოღონდ მუქარას უარყოფს.



გრიგორიანმა გამოძიებას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებები მისცა, რითაც პროკურატურა არ დაინტერესებულა. ვფიქრობ, ის სხვისი დავალებით დაემუქრა, რომელიც, სანდო წყაროს ცნობით, თანამდებობის პირია. პროკურატურა ამიტომ არ ცნობს გრიგორიანს ეჭვმიტანილად, თორემ საქმეში ამის სამართლებრივი საფუძვლები არის, – აღნიშნავს გელა მთივლიშვილი.

იმ შემთხვევაში თუ სასწრაფოდ არ გაირკვა, ვისი მითითებითა და დავალებით დაემუქრნენ ჟურნალისტს სიცოცხლის მოსპობით და დამნაშავეები არ დაისაჯნენ, მთივლიშვილი, პროტესტის ნიშნად, გენერალურ პროკურატურასთან შიმშილობის დაწყებას აპირებს.

ორგანიზაციის ცნობით, გასულ წლებში ჟურნალისტზე არაერთი თავდასხმა განხორციელდა, იყო მკვლელობის მცდელობაც, თუმცა ყველა ფაქტი ამ დრომდე გამოუძიებელია.

**ინტერპრესნიუსი**

● თითოეული ეპისტოლე, სიტყვა თუ ქადაგება ცალკე და დამოუკიდებელი მეცნიერული შრომაა, რომლებშიც ნათლად გამოსჭვივის მაღალი დონის ღვთისმეტყველის, ბრძენი მამულიშვილისა და ერზე შეყვარებული მღვდელმთავრის სულისკვეთება



◎ პრეზენტაცია

# ინტელექტუალური ნობათი ერის სულიერ წინამძღოლს

**ახლახან მართლაც რომ ფართოდ, იშვიათი მასშტაბურობით, სითბოთი და ენთუზიაზმით აღინიშნა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის დაბადების 75 და აღსაყდრების 30 წლისთავი. ამ დიდ იუბილეს ოპერატიულად, ლამაზად და შესაფერისი პატივგებით გამოეხმაურა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიაც.**

„მოწვევა-ბარათმა" აკადემიის დიდ სხდომათა დარბაზში გვიხმო, სადაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ისადმი მიძღვნილი საიუბილეო გამოცემის საზეიმო პრეზენტაცია გაიმართა.

ვრცელმა დარბაზმა ვერ დაიტია ასეთ ღირსშესანიშნავ ღონისძიებაზე დასწრების მსურველთა მრავალრიცხოვანი აუდიტორია, აკადემიის წევრებისა, სასულიერო პირებისა და საზოგადოებრიობის სხვა ფენების წარმომადგენელთაგან შემდგარი. მრავალ მათგანს ფეხზე დგომა მოუწია და ამითაც გამოხატა სახელოვანი იუბილარის სიყვარული, პატივისცემა და მისდამი მოწიწება.

... საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის გრიფით უმაღლეს პოლიგრაფიულ დონეზე შესრულებული და ფერადი ფოტოებით უხვად ილუსტრირებული 231-გვერდიანი წიგნის წარდგენას აკადემიის პრეზიდენტი თამაზ გამყრელიძე წარუძღვა.

აკადემიკოსმა როინ მეტრეველმა, ასევე გულითადი მილოცვის კვალდაკვალ, ვრცლად ილაპარაკა მის მიერ შედგენილი კრებულის შინაარსზე. თბილი მისალმებით გამოვიდა ხელოვანი ანზორ ერქომაიშვილიც. უწმინდესმა და უნეტარესმა მხურვალე მადლობა გადაიხადა მისი ღვაწლის ესოდენ დაფასებისათვის და ჩვეული სულში ჩაწვდომით დალოცა დამსწრენი.

მოკლედ გავადევნებთ თვალს საიუბილეო კრებულს, ოღონდ, თავიდანვე სათქმელად – ერთი მკაფიო შთაბეჭდილება, რომელიც მისი გადახედვიდან რჩება: წიგნი წარმოდგება როგორც შესანიშნავი კოლექტიური, მრავალავტორიანი და ნაირფერშტრიხიანი პორტრეტი კათოლიკოს-პატრიარქისა და ავტორები გახლავან საზოგადოებისათვის კარგად ცნობილი პიროვნებანი.

კრებულში სტენოგრაფიული ჩანაწერით არის წარმოდგენილი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის 2005 წლის 11 მარტის საერთო კრების ანგარიში (მაშინ აკადემია ჯერ კიდევ არ იწოდებოდა „ეროვნულად") – იმ კრებისა, რომელმაც სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II ერთსულოვნად აირჩია აკადემიის საპატიო წევრად – საპატიო აკადემიკოსად.



ამ კარის შესავალშივე მოკლედ ვეცნობით პატრიარქის ბიოგრაფიას, აკადემიის პრეზიდენტის თამაზ გამყრელიძის ენაპირით გადმოცემულს.

ამავე ანგარიშში ვნახავთ, აკადემიკოსების მარიამ ლორთქიფანიძის, შოთა ნადირაშვილის, დავით მუსხელიშვილისა და როინ მეტრეველის გამოსვლებსა და ახლადარჩეული საპატიო აკადემიკოსის ილია II-ის სამადლობელ სიტყვას.

შემდეგი კარი „მილოცვებითაა" დასათაურებული და მოიცავს ზურაბ წერეთლის, ფრიდონ თოდუას, ანა კალანდაძის, მერაბ ბერძენიშვილის, ანზორ ერქომაიშვილის წერილებს.

„ღვაწლი პატრიარქისა" – ასე ეწოდება წიგნის ყველაზე ვრცელ კარს, სადაც 15 ნარკვევში სრულად, გამოწვლილვით, შთამბეჭდავად და არცთუ იშვიათად მეცნიერული გამოკვლევის დონეზეა გაშუქებული ჩვენი სულიერი წინამძღოლის მრავალმხრივი, თავდაუზოგავი და უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობა მრევლის, ერის, ქვეყნის საკეთილდღეოდ და სადიდებლად.

ამაზე ნათლად მეტყველებს ამ განყოფილებაში დასტამბული თამაზ გამყრელიძის, როინ მეტრეველის, გურამ თევზაძის, ზაზა ალექსიძის, შოთა ნადირაშვილის, მარიამ ლორთქიფანიძის, მამა გიორგი ზვიადაძის, ჯონი ხეცურიანის, გვანცა კოპლატაძისა და სხვა წერილები.

ბოლო კარში „ქრონიკა" მოთხრობილია რამდენიმე ღირსსახსოვარი ამბის შესახებ: რომის პაპის იოანე-პავლე II-ისა და სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის შეხვედრა საქართველოს მეცნიერებისა და კულტურის წარმომადგენლებთან 1999 წლის 9 ნოემბერს; საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრებთან სამების საკათედრო ტაძარში (სტენოგრაფიული ჩანაწერი); საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდიუმის გაფართოებული სხდომა 2007 წლის 12 ოქტომბერს, რომელზეც აკადემიის საპატიო აკადემიკოსის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის წინადადებით აკადემიის უცხოელ საპატიო წევრად აირჩიეს მისი ყოვლადუწმინდესობა, მსოფლიო პატრიარქი ბართოლომეუს I; საქართველოს საპატრიარქოსა და საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ერთობლივი სხდომა 2007 წლის 16 ოქტომბერს მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიან დარბაზში...

ახლა კი ორი ამონარიდი საზეიმოდ პრეზენტირებული აკადემიური საიუბილეო გამოცემა-კრებულიდან.

**აკადემიკოსი როინ მეტრეველი:**

„განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ორტომეული „ეპისტოლენი, სიტყვანი, ქადაგებანი" (1997 წ.). ესაა ღრმად მეცნიერული, მნიშვნელოვანი ისტორიული და ცხოვრებისეული პრობლემების მომცველი თხზულებები. თითოეული ეპისტოლე, სიტყვა თუ ქადაგება ცალკე და დამოუკიდებელი მეცნიერული შრომაა, რომლებშიც ნათლად გამოსჭვივის მაღალი დონის ღვთისმეტყველის, ბრძენი მამულიშვილისა და ერზე შეყვარებული მღვდელმთავრის სულისკვეთება".

**აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ზაზა ალექსიძე:**

„... სინას მთაზე ხელნაწერთა აღმოჩენას რამდენიმე წლის განმავლობაში არ ახმაურებდნენ... პირველი ოფიციალური ცნობა დაიბეჭდა 1980 წლის სექტემბერში გერმანიის ქალაქ გოსლარში ჩატარებული სირიის პრობლემებისადმი მიძღვნილი სიმპოზიუმის მიმოხილვის სახით. ახლად აღმოჩენილი სირიული ხელნაწერების შესახებ იქ მოხსენება წაიკითხა ამ დარგის სპეციალისტმა დედა ფილოთეამ, რომელმაც შესავალში აღნიშნა, რომ წმინდა ეკატერინეს მონასტერში ახალ ხელნაწერთა შორის 56 სომხური ხელნაწერი აღმოჩნდა და შესაძლოა ოთხი მათგანი მრგვლოვანი ასომთავრულით შესრულებული ქართული ხელნაწერიც იყოსო.

დედა ფილოთეას მიერ გაკეთებული განცხადება როცა წაიკითხა ცნობილმა გერმანელმა ქართველოლოგმა, პროფესორმა იულიუს ასფალგმა, ეჭვი გამოთქვა, სომხურად მიჩნეული ხელნაწერების ნაწილი ეგებ ნუსხურად დაწერილი ქართული ხელნაწერები იყოსო... ეჭვები ისევ ეჭვებად დარჩებოდა, რომ არა უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ოფიციალური ვიზიტი ეგვიპტეში 1984 წლის 24-28 მაისს. 26 მაისს სინას მთაზე წმინდა ეკატერინეს მონასტრის ბიბლიოთეკის დათვალიერებისას მას მიეცა ეგრეთ წოდებული სომხური ხელნაწერების ნახვის საშუალება, რომლებიც სინამდვილეში ქართული აღმოჩნდა. მოვუსმინოთ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს:

„ის, რომ აქ რაღაც ხელნაწერები აღმოჩნდა, ჩვენ ადრეც ვიცოდით, მაგრამ არ ვიცოდით, იყო თუ არა მათში ქართული. გვიჩვენეს ბერძნული ხელნაწერები, ჩვენ ვკითხეთ, ქართული თუ არისო. ბიბლიოთეკის უფროსმა მოძღვარმა გვითხრა: ქართული სამწუხაროდ არ არის, მაგრამ არის სომხურიო. ძალიან გული დამწყდა... მაჩვენეთ, სომხური მაინც ვნახოთმეთქი. რვა ყუთი იყო ეს „სომხური" ხელნაწერები. გადმოიღეს, ვნახეთ და თურმე, ქართულია. შეცდომით მიუკუთვნებიათ სომხურისათვის ტყავზე შესრულებული ასომთავრული, ნუსხა-ხუცური ხელნაწერები..."

დაბრუნდა თუ არა თბილისში, პატრიარქმა შეგვკრიბა ყველა მეცნიერი, რომელთათვისაც ახლოს იყო სინას მონასტრის ქართულ სიძველეთა პრობლემები; დაწვრილებით გვიამბო, რაც ნახა წმინდა ეკატერინეს მონასტერში და შემოგვთავაზა ამ საკითხზე აქტიური მუშაობის დაწყება. მანამდე კი აქტიური მუშაობა თვითონ უწმინდესმა გააგრძელა..."

**...წლებსა თუ ჟამთასვლას, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ მომზადებული ეს დიდებული კრებულიც არ დაანებებს, რომ დაბინდონ კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის ბრწყინვალე სახელი...**

**თამაზ ებანოიძე**

◎ ინფორმაცია

## ბაღაფში და კოკოითი – დუმაში

**რუსეთის დუმის თავმჯდომარემ ბორის გრიზლოვმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დე ფაქტო პრეზიდენტები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი მიიღო.**



როგორც სათათბიროს ოფიციალური ვებგვერდი იუწყება, შეხვედრა დე ფაქტო ლიდერების ინიციატივით გაიმართა.

მხარეებმა კოსოვო დამოუკიდებლობის თვითგამოცხადების შესაძლო შედეგები განიხილეს.

გრიზლოვმა შეხვედრის მონაწილეების ყურადღება გაამახვილა მოსაზრებაზე, რომ კოსოვოს აღიარების შემთხვევაში, რუსეთი მისი ინტერესების ზონაში არსებულ თვითგამოცხადებულ რესპუბლიკებთან ურთიერთობის ახალ ფორმატს შექმნის.

ბაღაფშმა და კოკოითმა კი აღნიშნეს, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ხალხები მიდგომასა და კონფლიქტის ზონებში მშვიდობის დამყარებაში რუსეთის როლს მაღალ შეფასებას აძლევენ.

## აფხაზები დამოუკიდებლობის ახალ გზებს ეძებენ

აფხაზეთის დე ფაქტო უშიშროების საბჭოს მდივანი სტანისლავ ლაკობა მიიჩნევს, რომ კოსოვოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ხელოვნურია. ამის შესახებ ლაკობამ ტელეკომპანია „აბაზა ტე-ვე"-ს ეთერში განაცხადა.

ლაკობა რუსეთს იმ განსხვავებულ ბერკეტებზეც მიანიშნებს, რომლებიც მოსკოვმა, შესაძლოა, აფხაზეთის აღიარების მისაღწევად გამოიყენოს.

მისი თქმით, თუ აფხაზეთის აღიარების საკითხი გაეროს დონეზე ვერ გადაწყდება, საკითხის განხილვისთვის კიდევ არსებობს დსთ, შანხაის თანამშრომლობისა და კოლექტიური უსაფრთხოების შესახებ შეთანხმების ორგანიზაციები.

– ტერიტორიული და რაოდენობრივი მაჩვენებლებით, ეს ორგანიზაციები ევროკავშირს ბევრად აღემატება. ამასთან დაკავშირებით, რუსეთს აქცენტების შეცვლა შეუძლია, – განაცხადა ლაკობამ.

იგი მიიჩნევს, რომ აფხაზეთმა დსთ-ს ქვეყნებს, რუსეთსა და საერთაშორისო თანამეგობრობას აუცილებლად უნდა მიმართოს.

ინტერპრესნიუსი

№ 32. ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2008 წელი.

# უცხოური პრესა

● საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა აღნიშნა, რომ თუ რუსეთი საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიქვამს, თბილისი მზადაა მოსკოვთან კარგი ურთიერთობისათვის



◉ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

## საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტრომ რუსეთთან მეგობრობის პირობები წამოაყენა

საქართველო არ აპირებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას. ეს განაცხადა ამ ქვეყნის საგარეო პოლიტიკური უწყების მეთაურმა დავით ბაქრაძემ თბილისის ტელეკომპანია „რუსთავი-2“-ის პირდაპირ ეთერში გამოსვლისას. „როგორც საგარეო საქმეთა მინისტრს, მთელი პასუხისმგებლობით შემიძლია განვაცხადო, რომ საქართველოს მთავრობა არ აპირებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარების შესახებ საკითხის განხილვას“, აღნიშნა მან.

კითხვაზე „შეიძლება თუ არა საქართველომ პოზიცია შეიცვალოს ამ საკითხში შეერთებული შტატებისა და დასავლეთის წამყვანი ქვეყნების გავლენით“, ბაქრაძემ უპასუხა: „საქართველო შეინარჩუნებს და განავითარებს შეერთებულ შტატებთან და სხვა ჩვენდამი მეგობრულად განწყობილ დასავლეთის სახელმწიფოებთან სტრატეგიულ პარტნიორობას, მაგრამ კოსოვოს საკითხისადმი დამოკიდებულება მთლიანად საქართველოს სახელმწიფო და ეროვნული ინტერესებიდან გამომდინარეობს“. მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ „საქართველო არ აპირებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარებას, და ჩვენი პოზიცია არ შეიცვლება ჩვენი მეგობარი სახელმწიფოების პოზიციის მიუხედავად, რადგან ჩვენ საქართველოს ბედისათვის ვართ პასუხისმგებელნი“, – იტყობინება „იტარ-ტასი“.



როცა არანაკლებ აქტუალურ თემას შეეხო, საგარეო საქმეთა სამინისტროს მეთაურმა აღნიშნა, რომ თუ რუსეთი საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიქვამს, თბილისი მზადაა მოსკოვთან კარგი ურთიერთობისათვის. მან დააზუსტა, რომ რუსეთთან ურთიერთობა უნდა ემყარებოდეს სამ ძირითად პრინციპს: საქართველოს სუვერენიტეტს, მის ტერიტორიულ მთლიანობას და თავისუფალ არჩევანს. როგორც საგარეო უწყების მეთაურმა თქვა, საქართველო მზადაა რუსეთთან კომპრომისებისათვის, მაგრამ „არა ამ სამი ელემენტის ხარჯზე“. „გვინდა რომ რუსეთი არ ერეოდეს ჩვენს საშინაო საქმეებში, რომ რუსეთი საქართველოს სუვერენულ სახელმწიფოდ აღიქვამდეს“, – თქვა ბაქრაძემ, ამასთან განმარტა, რომ „როგორც კი რუსეთი თავისი მოქმედებით ჩვენს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობას ან თავისუფალ არჩევანს დაუპირისპირდება, რასაკვირველია, რეაგირებას მოვახდენთ“.

ИЗВЕСТИЯ
ОБЩЕНАЦИОНАЛЬНАЯ ГАЗЕТА

## თბილისი და მოსკოვი შერიგებას ცდილობენ

თბილისი და მოსკოვი აქტიურად ემზადებიან პრეზიდენტების პუტინისა და სააკაშვილის შეხვედრებისათვის. ორი ქვეყნის ლიდერთა მოლაპარაკება 22 თებერვლისათვის დასახული თანამეგობრობის არაფორმალური სამიტის ფორმატის ფარგლებიდან არის გატანილი: წინასწარი მორიგების თანახმად კრემლში შეხვედრა ხუთშაბათს დღის მეორე ნახევარში გაიმართება, და მაშასადამე, ორი ქვეყნის ლიდერებს შესაძლებლობა ექნებათ საფუძვლიანად განიხილონ საქართველო-რუსეთის ურთიერთობის მდგომარეობა და პერსპექტივები.

ამავე დროს ის ნაბიჯები, რომლებსაც ბოლო დღეებში ორი ქვეყნის დედაქალაქებში მიმართავენ, სათუოს ხდის წარმატებული მორიგებების მიღწევას.

მიხეილ სააკაშვილი მოსკოვში თანამეგობრობის არაფორმალურ სამიტზე მიიწვიეს და მან მიწვევა მიიღო, რაც გამოაცხადა კიდეც გასულ კვირას, აღნიშნა რა, რომ მზადაა „დიალოგისათვის სავაჭრო, ეკონომიკური, ჰუმანიტარული და პოლიტიკური ურთიერთობის მთელ სპექტრზე“, მით უმეტეს, რომ, მისი თქმით, გაჩნდა დაგროვილი პრობლემების გადაჭრის შესაძლებლობა – აქაოდა, საქართველო ბოლო დროს „რუსი კოლეგებისგან პოზიტიურ სიგნალებს“ იღებს. როგორც სააკაშვილმა თქვა, ეს სიგნალები ეხება თბილისისათვის მნიშვნელოვან ისეთ საკითხებსაც, როგორიცაა საქართველოს პროდუქციის დაბრუნება რუსეთის ბაზარზე და ორ ქვეყანას შორის 2006 წლის ოქტომბერში „ჯაშუშური სკანდალის“ შედეგად შეწყვეტილი საავიაციო მიმოსვლის აღდგენა. საქართველოს ლიდერმა განაცხადა, რომ არსებობს მორიგება გაიხსნას საქართველო-რუსეთის ერთობლივი საბაჟო და სასაზღვრო საკონტროლო პუნქტები სახელმწიფოთაშორის საზღვარზე, მათ შორის აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მონაკვეთებზე. ამ მორიგებათა რეალიზაციის შემდეგ, ხაზი გაუსვა სააკაშვილმა, საქართველო დათანხმდება მსოფლიო სავაჭრო ორგანიზაციაში რუსეთის შესვლას.

სერიოზული დიალოგისათვის თბილისის მზადყოფნას ადასტურებს მოსკოვში საქართველოს დელეგაციების ვიზიტების სერია. გასულ კვირას უმაღლესი დონის მომავალი მოლაპარაკების დღის წესრიგს აზუსტებდა საგარეო საქმეთა მინისტრის ორი მოადგილე, მათ შორის გრიგოლ ვაშაძე, რომელიც საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში რუსეთის მიმართულებას კურირებს. გუშინ კი მოსკოვში სატრანსპორტო და სავაჭრო ურთიერთობის განახლების საკითხზე მოლაპარაკებისათვის საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დელეგაცია ჩამოვიდა.



მაგრამ საქართველო-რუსეთის ურთიერთობაში დასახული დათბობა შეიძლება მხოლოდ მოჩვენებითი აღმოჩნდეს. ერთი მხრივ, თბილისი და მოსკოვი თითქოს მართლაც ცხადყოფენ მზადყოფნას შერიგდნენ და წარსულს ჩააბარონ სიტუაცია, რომელსაც ორი ქვეყნის ანალიტიკოსებმა, არც თუ უსაფუძვლოდ, ცივი ომი უწოდეს, მეორე მხრივ – პუტინ-სააკაშვილის შეხვედრის მომზადებას ურთიერთობის მეტად მძაფრი გარკვევა ახლავს თან. ამასთან, ორივე მხარე დგამს ნაბიჯებს, რომლებიც სათუოს ხდის კრემლში მომავალი შეხვედრის შედეგიანობას. მაგალითად, იცის რა მოსკოვის ნეგატიური დამოკიდებულება ნატოსკენ საქართველოს მისწრაფებისადმი, საქართველოს ხელმძღვანელობამ სწორედ გასულ კვირას გაგზავნა ბრიუსელში წერილი, რომელშიც გამოხატა რესპუბლიკის მზადყოფნა შეუერთდეს ალიანსში შესვლისათვის მოქმედების გეგმას და ოფიციალურად სთხოვა ნატოს ხელმძღვანელობას ოპერატიულად მიიღოს გადაწყვეტილება ამ საკითხზე. მეორე დღესვე რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა განცხადება, რომელშიც იმის საწინააღმდეგოდ, რაც იანვარში თბილისში ყოფნისას მინისტრმა სერგეი ლავროვმა თქვა, აღნიშნულია, რომ კოსოვოს დამოუკიდებლობის საერთაშორისო აღიარების შემთხვევაში მოსკოვი ამ გარემოებას მაინც გაითვალისწინებს „აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სიტუაციასთან დაკავშირებით“. იმავე დღეს სმოლენსკის მოედანზე უმაღლეს დონეზე მიიღეს აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ლიდერები სერგეი ბაღაფში და ედუარდ კოკოითი. თბილისმა ამაზე მკაცრი რეაგირება მოახდინა. შაბათს რუსეთის ელჩი თბილისში ვიაჩესლავ კოვალენკო საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გამოიძახეს და საპროტესტო ნოტა გადასცეს. ამას შეეხო პრეზიდენტი სააკაშვილიც. მთავრობის სხდომაზე გამოსვლისას მან რუსეთს მოუწოდა შეწყვიტოს „ცეცხლთან თამაში“. სააკაშვილმა აღნიშნა, რომ ნამდვილად უნდა რუსეთთან ყველა საკითხი „ცივილიზებულად და მეგობრულად მოაგვაროს“, თუმცა არ დაუშვებს არანაირ, თუნდაც უმცირეს ეჭვს საქართველოს საზღვრების ურღვევობასთან დაკავშირებით.

ყოველივე ეს, მიაჩნია საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობის კომიტეტის თავმჯდომარეს კოტე გაბაშვილს, პრეზიდენტების შეხვედრის წინ, რასაკვირველია, გარკვეულ პრობლემებს ქმნის ორმხრივ ურთიერთობაში. „და მაინც კრემლში მოლაპარაკების წარმატების შანსი არსებობს. მომავალი შეხვედრა ხელს შეუწყობს ზუსტად განისაზღვროს მთავარი – ბოლოს და ბოლოს რა უნდა ჩვენგან რუსეთს. ჩვენ მოსკოვის კეთილგანწყობის იმედი გვაქვს, თანაც სრულის და არა ნაწილობრივის. თუმცა რუსეთის ფედერაციის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ამ თვალსაზრისით ერთგვარ გაურკვევლობას ბადებს. საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს საპასუხო ნოტა სულაც არ იყო მკვეთრი ნაბიჯი, არამედ წარმოადგენდა თხოვნას განემარტათ, რაშია საქმე, ასე დემონსტრაციულად და მკვეთრად რატომ შეიცვალა მოსკოვმა პოზიცია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის მიმართ, – თქვა გაბაშვილმა.

ანატოლი გორდიენკო

НЕЗАВИСИМАЯ ГАЗЕТА

№ 32. ორშაბათი, 20 თებერვალი, 2008 წელი.

## უცხოური პრესა

● გაეროში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ჯონ ბოლტონი უარყოფით შეფასებას აძლევს ბალკანეთში მიმდინარე მოვლენებს. მრავალი წლის განმავლობაში ბოლტონი ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ერთგული მომხრე იყო, მაგრამ კოსოვოს საკითხში უყოყმანოდ გაემიჯნა ბუშს და თეთრი სახლი და მრავალი ევროპული ქვეყანა დაადანაშაულა იმაში, რომ აყვნენ „ანტისერბულ“ განწყობილებას



◎ რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# კავკასია ხმას იმაღლებს

კავკასიის თვითაღიარებული რესპუბლიკები ამზადებენ მორიგ თხოვნას მათი სუვერენიტეტის იურიდიული აღიარების შესახებ. აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტები დარწმუნებულები არიან: მათ „ვოტჩინებს“ ამის ბევრად მეტი საფუძველი აქვთ, ვიდრე კოსოვოს თვითგამოცხადებულ სახელმწიფოს. რესპუბლიკები საქართველოსგან გამოყოფისათვის ბრძოლის გაგრძელებას რუსეთის, „კავკასიაში სტაბილურობის მთავარი გარანტის“ იმედად აპირებენ. ამასობაში კოსოვოს დამოუკიდებლობა უკვე აღიარეს ავღანეთმა და საფრანგეთმა.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი, კოსოვოს პრეცედენტის გათვალისწინებით, მზად არიან კიდევ ერთხელ განუცხადონ მსოფლიოს, რომ სურთ საქართველოსგან არა მარტო ფაქტობრივი, არამედ იურიდიული დამოუკიდებლობის მიღწევა.

შესაბამისი ოფიციალური მიმართვები უახლოეს ხანში გაიგზავნება რუსეთის, თანამეგობრობის ქვეყნების და საერთაშორისო ორგანიზაციების მისამართით. ასეთი განცხადება გააკეთეს ორშაბათს სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა და აფხაზეთის პრეზიდენტმა სერგეი ბაღაფშმა. „ჩვენ ეს დამოუკიდებლობა კოსოვოზე ნაკლებად არ დაგვიმსახურებია და მივაღწევთ მას“, — აღნიშნა აფხაზეთის ლიდერმა. სხვათა შორის, თვითაღიარებული რესპუბლიკების მეთაურები თავიანთ გამონათქვამებში მეტად აკურატულები არიან და, რუსეთის პოზიციის გათვალისწინებით, კოსოვოს პრეცედენტად კი არ ახსენებდნენ, არამედ სიტყვის მასალად.

„ერთი წლის წინათაც და ორი წლის წინათაც ვაცხადებდით, რომ, კოსოვოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ აღიარებენ თუ არა, ამას ჩვენთვის დიდი მნიშვნელობა არა აქვს, რადგან ამ გზას ჩვენ ადრე დავადექით და მას ბოლომდე გავივლით“, — აღნიშნა ბაღაფშმა.

მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ ევროპის მთელი რიგი ქვეყნები მზად არიან ცნონ კოსოვოს დამოუკიდებლობა, კავკასიის თვითაღიარებულ რესპუბლიკებს კანონზომიერად მიაჩნიათ, რომ მათ მიმართაც მოხსნას ევროკავშირმა მთელი რიგი შეზღუდვები. კერძოდ, როგორც მინიმუმ, გაუქმდეს სატრანსპორტო ემბარგო.

„უნდა ვაღიაროთ, რომ რუსეთი ყველაზე დიდი და ყველაზე ძლიერი სახელმწიფოა კავკასიაში და მისი ინტერესების გაუთვალისწინებლად იქ მშვიდობა ვერ იქნება. ევროპამ ამ თვალსაზრისით რუსეთთან უნდა ითანამშრომლოს და კი არ დაუპირისპირდეს მას, არამედ გამოიყენოს მისი პოტენციალი და რესურსი“, — აღნიშნა ოსეთის პრეზიდენტმა ედუარდ კოკოითმა.

იმ შემთხვევაში, თუ ორი რესპუბლიკის დამოუკიდებლობის აღიარებას ევროპა შეუძლებლად გამოაცხადებს, სამხრეთ ოსეთი მზადაა აამოქმედოს სათადარიგო გეგმა, დაამტკიცებს რა, რომ იგი რუსეთის ნაწილია. საამისოდ, ირწმუნება კოკოითი, იურიდიული საფუძველი არსებობს.

მან აღნიშნა, რომ თავის დროზე ოსეთი ნებაყოფლობით შევიდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში, რისი დოკუმენტური დასტურიც არსებობს. „მაგრამ არ არსებობს არც ერთი დოკუმენტი იმის თაობაზე, რომ ოსეთი რუსეთის შემადგენლობიდან გამოვიდა“, — თქვა მან.

რაც შეეხება საქართველოს, მას თვითაღიარებული რესპუბლიკების მეთაურთა განცხადებების გარეშე ბოლო დღეებში ბევრი რამ ჰქონდა სანერვიულო. წინ უსწრებენ რა მოვლენებს, საქართველოს პოლიტიკოსები გამოთქვამენ გაფრთხილებას, რომ კოსოვო არ უნდა გახდეს პრეცედენტი და შეერთებული შტატების პოზიციის საწინააღმდეგოდაც კი აცხადებენ, რომ არ ცნობენ მხარის დამოუკიდებლობას.

თუმცა თბილისში ცოტას თუ სჯერა, რომ კოსოვოს პრეცედენტი რესპუბლიკისათვის უშედეგოდ ჩაივლის.

ამავე დროს ოფიციალურმა თბილისმა მთელ მსოფლიოს აგრძნობინა, რომ ყველაფრის მიუხედავად და ნებისმიერი საშუალებით დაიცავს თავის ტერიტორიულ მთლიანობას. ამიტომ ხელისუფლება წინასწარ ურჩევს ყველას „ცხვირი არ ჩაყონ საქართველოს საქმეებში“.

„ჩვენმა საზოგადოებამ და საერთაშორისო საზოგადოებამ უნდა იცოდნენ: ამ კონტექსტით საქართველოს წინააღმდეგ ყველა ამ მოქმედებას ჩვენ კიდევ უფრო ქმედითი ნაბიჯებით ვუპასუხებთ, ყველა პროვოკაციას ძირშივე აღვკვეთავთ, ადეკვატურად ვიმოქმედებთ“, — დაიმუქრა საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი.

**იულია მალიშევა**

ВЗГЛЯД
ДЕЛОВАЯ ГАЗЕТА

# პოლიტოლოგებს კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება საქართველოსათვის სახიფათოდ მიაჩნიათ

ქართველ პოლიტოლოგებსა და პოლიტიკოსებს ქვეყნისათვის სახიფათოდ მიაჩნიათ კოსოვოს საერთაშორისო აღიარება, რომლის ხელისუფლებამაც ცალმხრივი წესით გამოაცხადა სერბიისაგან დამოუკიდებლობა.




„გამორიცხული არ არის, რომ საქართველოს არაკეთილმოსურნენი კოსოვოს დამოუკიდებლობის ცნობის პროცესს თავის სასარგებლოდ გამოიყენებენ. დიდი სიფრთხილე უნდა გამოვიჩინოთ და ერთიანი ვიყოთ კოსოვოს მიმართ ჩვენს პოზიციაში“, — უთხრა საქართველოს პარლამენტის ვიცე-სპიკერმა მიხეილ მაჭავარიანმა, ამასთან მხედველობაში ჰქონდა ქვეყნის ტერიტორიაზე აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის თვითაღიარებული რესპუბლიკები. პოლიტოლოგი არჩილ გეგეშიძე საქართველოს ხელისუფლებას ურჩევს მეტისმეტ გულმოდგინებას ნუ გამოიჩენს კოსოვოს საკითხში.

„საქართველომ კოსოვოს დამოუკიდებლობა არ უნდა აღიაროს. მით უფრო რომ, ამას არავინ აიძულებს. არ არის საჭირო ინიციატივის გამოჩენა. საკუთარი პრობლემების გათვალისწინებით კოსოვოს დამოუკიდებლობა, როგორც პრეცედენტი, ჩვენ არანაირად არ გვაძლევს ხელს“, — თქვა გეგეშიძემ.

კავკასიის საკითხთა ექსპერტი მამუკა არეშიძე ვარაუდობს, რომ კოსოვოს პრეცედენტი სახიფათოა არა მარტო საქართველოსთვის, არამედ რუსეთისთვისაც. „კოსოვოს დამოუკიდებლობის აღიარება გამოიწვევს გაუთავებელ დისკუსიებს იმის თაობაზე, რომ „რაც ერთისთვის ნებადართულია, რატომ ეკრძალება მეორეს“, — თქვა მან. არეშიძემ დასძინა, რომ ოფიციალური თბილისის საფუძვლიანი არგუმენტების მიუხედავად, მას მაინც გაუჭირდება სეპარატისტებთან დისკუსია, რომლებისთვისაც კოსოვო „ცოცხალი“ პრეცედენტი იქნება.

**მარინა კვარაცხელია**

АГЕНТСТВО
МЕЖДУНАРОДНОЙ ИНФОРМАЦИИ
НОВОСТИ

# ჯონ ბოლტონი: ყველა სეპარატისტული მოძრაობის პატრუქი ანთებულია

„კოსოვო კარგს არაფერს მოგვიტანს“. გაეროში შეერთებული შტატების ყოფილი ელჩი ჯონ ბოლტონი უარყოფით შეფასებას აძლევს ბალკანეთში მიმდინარე მოვლენებს. მრავალი წლის განმავლობაში ბოლტონი ბუშის ადმინისტრაციის ერთ-ერთი ერთგული მომხრე იყო, მაგრამ კოსოვოს საკითხში უყოყმანოდ გაემიჯნა ბუშს და თეთრი სახლი და მრავალი ევროპული ქვეყანა დაადანაშაულა იმაში, რომ აყვნენ „ანტისერბულ“ განწყობილებას, რითაც ხელი შეუწყვეს გეოპოლიტიკური პროცესის განვითარებას, „რომელიც უთუოდ მრავალ სერიოზულ პრობლემას წარმოქმნის“.

— რატომ ხართ კატეგორიული წინააღმდეგი იმ ნაბიჯისა, რომელიც პრიშტინამ გადადგა?

— კოსოვოს ლიდერების მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადება ბალკანეთის მთელ რეგიონში არასტაბილურობის რისკს ქმნის. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რომ რუსეთს ახლა კანონიერ საფუძველზე შეუძლია კონტრზომებს მიმართოს მოლდოვასა და საქართველოში. პანდორას ყუთი გახსნილია და ამას ძნელად განსაჭვრეტი შედეგები მოჰყვება, და ეს შედეგები ნეგატიური იქნება მთელი ევროპისათვის.

— რა გაძლევთ ამის მტკიცების საფუძველს?

— ის ფაქტი, რომ კრემლი აფხაზეთს საქართველოსგან გამოყოფისკენ უბიძგებს. ის, რაც კოსოვოში მოხდა, პრეცედენტია, რომელიც ლეგიტიმაციას



მისცემს მსგავს, საკმაოდ სახიფათო პროცესს.

— გაეროს უშიშროების საბჭო კოსოვოს საკითხში ორად გაიყო და ახლა ჩიხში მოექცა. თქვენი გამოცდილების გათვალისწინებით როგორია გაეროში სიტუაციის განვითარების პროგნოზი?

— ეს ჩიხი შეერთებული შტატებისა და ზოგიერთი მისი მოკავშირის ბრალია. კოსოვოს შესახებ გაეროს 1244-ე რეზოლუცია ითვალისწინებს, და ეს შავით თეთრზე წერია, რომ კოსოვო სერბიის ერთიანი სახელმწიფოს შემადგენლობაში რჩება. ის, ვინც დამოუკიდებლობას უჭერს მხარს, არღვევს თავად უშიშროების საბჭოს მიერ მოწონებულ რეზოლუციას. ეს ჩიხი იმის აშკარა შედეგია, რომ უშიშროების საბჭო თავის თავს ეწინააღმდეგება.

— როგორ შეიძლება ამ ჩიხიდან გამოსვლა?

— ამ ეტაპზე ეს მეტად ძნელია. საკმარისია გავიხსენოთ, რომ მოლდოვაში ჯერ კიდევ იმყოფებიან რუსი სამხედროები, რადგან მოსკოვი აცხადებს, რომ აპირებს დაიცვას რუსულენოვანი მოსახლეობა ტერიტორიებზე, სადაც იგი უმრავლესობას შეადგენს. პრიშტინას გადაწყვეტილებამ ვრცელი სტრატეგიული რეგიონი უფსკრულის პირამდე მიიყვანა. დაშვებული შეცდომის გამოსწორებას ძალიან დიდი დრო დასჭირდება. და ეს საკმაოდ ძნელი იქნება.

— როგორ ფიქრობთ, რამ განაპირობა შეერთებული შტატების და ევროპის ზოგიერთი ქვეყნის ეს „სერიოზული შეცდომა“?

— იმან, რომ ხელმძღვანელობდნენ სერბიის მიმართ მტრული პოლიტიკით. სლობოდან მილოშევიჩის დიქტატურის შესახებ მოგონებები საფუძვლად დაედო დიპლომატიურ ნაბიჯებს და კოსოველების წაქეზებას, მაგრამ დღეს ბელგრადში მილოშევიჩი არ არის, იქ ახლა სერბეთის ხელმძღვანელობაა, რომელიც პატივს სცემს დემოკრატიულ პრინციპებს და ევროპასთან კავშირი სურს.

**მაურიციო მოლინარი**

LA STAMPA

№ 32. ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2008 წელი.

*თქვენ ჩვენთვის როგორ არა ხართ, ჩვენ აღარა ვართ თქვენთვის!*

№ 32. ოთხშაბათი, 20 თებერვალი, 2008 წელი.

## მეგობრის ხსოვნას

# ლელო ყოველთვის თავისი კაცობით გაჰქონდა

რობერტ ძერია.

ჟურნალისტი.

ბუნებით ინტელიგენტი,

მოკრძალებული და თავმდაბალი.

მთელი მისი სიყრმე თავდამკვიდრებისთვის ბრძოლა იყო.

თავისი კაცობით გაჰქონდა ლელო,

საკუთარი პრინციპებისთვის არასოდეს უღალატია.

ზნეობისა და ღირსების ხარჯზე არაფერი უკეთებია.

წესიერი კაცი იყო, მართალი და პატიოსანი.

ბევრჯერ გასჭირვებია.

მტრული სისინიც მოუსმენია.

წყენა და ტკივილი არასოდეს შეუმჩნევია.

სულით შემოქმედი იყო. ბუნებით რომანტიკოსი.

გარემოებამ წმინდა შემოქმედებისთვის ადგილი არ დაუტოვა.

არსებობისთვის ბრძოლამ ბევრი რამ ისე ჩაკლა მასში, დაბადებაც არ აცალა.

„სასაცილოა, მაგრამ რატომღაც მგონია, რომ სულით შემოქმედი ვიყავი, შემოქმედებით – ბერწმა და, ბუნებით რომანტიკოსმა პრაგმატიზმს შევალიე მთელი შეგნებული ცხოვრება“, – გულდაწყვეტილი იგონებდა თავად.

კალამი კი ნამდვილად უჭრიდა.

ჟურნალისტიკაში საკუთარი სტილი ჰქონდა.

სიტყვის ძალასა და მადლს მთელი არსებით გრძნობდა და განიცდიდა. მოკლე და სხარტი ფრაზებით ესაუბრებოდა მკითხველს.

კაცის აუგს არ დაწერდა.

კრიტიკულ სტატიებს პრობლემებზე წერდა და არა პიროვნებებზე.

პიროვნების ღირსებასა და ღვაწლს კი სიხარულით წარმოაჩენდა.

ერის სახელოვან შვილებს შეძლებისდაგვარად ეფერებოდა, მათს ჭეშმარიტ მოქალაქეობრივ სახეს, მამულიშვილურ და მეცნიერულ ღვაწლს წარმოაჩენდა.

კარგს არავის დაუკარგავდა. სულ მცირე სიკეთესაც უჩვეულოდ დაუფასებდა.

დიდი გული ჰქონდა.

უსაზღვრო სიყვარულს იტევდა.

ხელს ისე წააშველებდა კაცს, არც კი ეტყოდა, თავს არ მოიწონებდა.

უღალატო მეგობარი იყო.

გულწრფელი და თავშეკავებული მრჩეველი.

სხვისი სიხარულიც უხაროდა, სხვისი ტკივილიც სტკიოდა.

მეგობრების დიდი წრე ჰყავდა ამერ-იმერში.

სხვადასხვა პროფესიისა და ასაკის ხალხთან მეგობრობდა...

ოჯახისთვის იგი იმედიც იყო, მფარველიც და მსხვერპლიც.

თითოეული წევრის ძილსაც კი დარაჯობდა.

შვილიშვილებით ცოცხლობდა. ლექსებში ჩაუქსოვა ანდერძსათქმელი.

ნაბიჯ-ნაბიჯ ჰქონდა შემოვლილი სამშობლოს ყოველი გოჯი.

ბოლოს ტაო-კლარჯეთში იმოგზაურა.

„ბებერი ტაოსა“ და მთლიანად დაკარგული საქართველოს სანახავად ავადმყოფობასაც არ შეუშინდა.

უზომოდ ბედნიერი იყო



ბავშვობა ომის პერიოდში გაიარა, მაგრამ ექვს და-ძმაში ნაბოლარას შეძლებისდაგვარად მაინც ანებივრებდნენ.

სკოლაში გამორჩეული მოსწავლე იყო.

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტიც წარჩინებით დაამთავრა.

ჯერ კიდევ სტუდენტი გაზეთ „ახალგაზრდა კომუნისტში“ თანამშრომლობდა. მაშინ „ახკომის“ ისტორიაში გამორჩეული პერიოდი იდგა. გაზეთს გოგი გელაშვილი – ძირძველი თბილისელი, ღრმად განათლებული, ინტელიგენტი, კეთილშობილებით აღსავსე, მოყვარული კაცი რედაქტორობდა. თანამშრომლებადაც რჩეულები ჰყავდა შემოკრებილი: თამაზ ბიბილური, ნანა ღვინეფაძე, ეთერ სახვაძე, ნარგიზა მგელაძე, შიო ლარცულანი, ლეო ხომერიკი, კოტე მჭედლიშვილი, ციალა კალმახელიძე...

სწორედ მაშინ რედაქციაში პრაქტიკაზე მიიღეს ჟურნალისტიკის ფაკულტეტის სტუდენტი რობერტ ძერია.

მიიღეს და აღარ გაუშვეს. ბუნებრივად ჩაეწერა გამოცდილ ჟურნალისტთა წრეში.

მაშინ, 60-იან წლებში, დაიწყო მისი შემოქმედებითი, ჟურნალისტური მოღვაწეობა. მივლინებას მივლინება მოჰყვა, წერილს – წერილი, სტატიას – სტატია. წერდა ლამაზად, ჰქონდა შეხვედრები და საუბრები მეცნიერებთან, მწერლებთან, მსახიობებთან, მხატვრებთან, მშრომელებთან.

შემოქმედებით ზრდასთან ერთად მოდიოდა სამსახურებრივი წინსვლაც.

თუმცა მისთვის თანამდებობა არაფერს ნიშნავდა. უმთავრესი იყო კალამი, ნაფიქრისა და განცდილის მკითხველისთვის გაზიარება.

სხვადასხვა დროს სხვადასხვა თანამდებობებზე მოუხდა ჭაპანის წევა, ყველგან ფუტკარივით შრომობდა, ყველგან აკეთა თავისი წილი საკეთებელი.

ბოლოს 22 წელიწადი სამეცნიერო-პედაგოგიურ ჟურნალ „სკოლა და ცხოვრებას“ რედაქტორობდა.

„დღეს მესამე ნომერი დავგეგმე. მგონი, საინტერესოა და თავს ისე ვგრძნობ, თითქოს წონაში დამეკლოს.

ეს არ არის მოვალეობის პატიოსნად მოხდის სიხარული.

ეს შეგრძნებაა იმისა, რომ ყოველთვის შეიძლება უკეთესის გაკეთება.

მაშასადამე, არ არსებობს სწორედ ის „უკეთესი“, რადგან უკეთესობა უსასრულობაა.

ე.ი. გამუდმებული ძიება და მშიერი სიხარული არის სრულყოფა“, – გაუკეთებია ჩანაწერები უბის წიგნაკში.

ცოდვაა მისი ცხოვრება მხოლოდ იმით შეფასდეს, რისი გაკეთებაც მოასწრო და შეძლო.

ისიც გასათვალისწინებელია, რისი გაკეთებაც სურდა და ვერ შეძლო ამ აფორიაქებულ ეპოქაში.

უბრალოდ, სამინისტრომ გადაწყვიტა, 90 წლის ჟურნალი დაეხურა.

წინააღმდეგობასთან ბრძოლა სტიმულად ექცა.

სინდისი კარნახობდა, ჟურნალი როგორმე გადაერჩინა.

„სინდისი წინაპართა თვალებია, ისინი მიღმური სამყაროდან დარაჯობენ ჩვენს ქცევას და საქმიანობასო“, – წერს უბის წიგნაკში.

10 წელი აცოცხლა სახელმწიფოსგან ბედის ანაბარად მიტოვებული ჟურნალი. ხან რა საშუალებას გამოძებნიდა და ხან რას. ზოგიერთმა კეთილისმყოფელმაც შეაშველა ხელი.

თავად ხელმოკლედ ცხოვრობდა, მაინც საკუთარი სახსრებით გამოსცა ჟურნალის რამდენიმე ნომერი. ჟურნალი თუ დაიხურა, ვერც მე ვიცოცხლებ, თითქმის 100 წლის ისტორია აქვს. „ცისკრისა“ და „სკოლა და ცხოვრების“ დახურვა ერის სირცხვილიაო.

ტირაჟი შემცირდა. უხელფასოდ დარჩენილი თანამშრომლები შემოეფანტნენ, რამდენიმე ერთგული თანამებრძოლი შემორჩა. 2003 წლამდე მაინც აცოცხლა ჟურნალი.

მერე ჯანმრთელობამ უმტყუნა და შეწყდა გამოცემაც.

„მზისგან დაძრულ ბალახს ლოდი ვერ შეაჩერებს. თუ ვერ დაძლია, მოიღუნება, მაგრამ არ გატყდება და გვერდიდან ამოიწვერება, მაინც სამზეოზე გამოვა.

ლოდს ჰგავს ეს ხელისუფლებაც“.

ესეც მისი ჩანაწერია. ჟურნალის აღდგენის იმედს არ კარგავდა.

ეს იმედი სამარეშიც თან ჩაჰყვა.

2008 წელს ჟურნალს 100 წელი შეუსრულდებოდა.

2008 წლის დასაწყისში გაშორდა თავადაც წუთისოფელს.

„სიკვდილი არ არის სამანი, რომლის გადალახვა, შეიძლება, გაუჭირდეს კაცს, თუ იგი მართალია საკუთარი თავისა და ქვეყნის წინაშე.

განცდა, რომელიც მაქვს, არ არის შიში.

არ ვიცი, რა ჰქვია.

შეიძლება ეს იყოს სინანული, არა იმის გამო, რაც იყო, არამედ იმაზე, რაც შეიძლება ყოფილიყო და აღარ იქნება.

ეს კი არის გულდასაწყვეტი და არც გამამტყუნება.

ერთი კია, უკან მოხედვის არ მეშინია.

სიკვდილს ისე უნდა შეხვდე, როგორც წლობით ნალოლიავებ ქალს – თავმომწონედ, სულით ძლიერად და ამაღლებულად.

ალბათ, გასაგებია ეს. ქვეყანაზე საწყალობელ და შეშინებულ, დათრგუნულ კაცზე უარესი არაფერია“.

ესეც მისი აზრია, მისი ნაფიქრი და ჩაწერილი.

ასეთივე სიმშვიდით შეგებებია გარდაუვალს...

**კოლეგები, მეგობრები**



## თხილამურები

# სტუდენტები – თოვლიან ფერდობზე

**გუდაურში დამთავრდა სამთო-სათხილამურო ტურნირი, რომელშიც 600 სტუდენტი მონაწილეობდა. გიგანტურ სლალომში საპრიზო ადგილებზე გავიდნენ: გოგონები. 1. მანანა წერეთელი („საქართველოს უნივერსიტეტი“), 2. ანა გუჯაბიძე (თსუ), 3. ეკა კოსირატი (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი). ვაჟები. 1. გიორგი თედიაშვილი, 2. ნოდარ ჩხეიძე (ორივე – სტუ), 3. ვეფხია ოგბაიძე (ილია ჭავჭავაძის უნივერსიტეტი).**

გამარჯვებულები და პრიზიორები საუნივერსიტეტო სპორტის ფედერაციამ შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დააჯილდოვა.

## სამბო

# ექვსი მედალი და მასპინძლობის უფლება

**მოსკოვში დამთავრდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის სახელობის თასის გათამაშება სამბოში. შეჯიბრებაში სხვებთან ერთად საქართველოს წარგზავნილებიც მონაწილეობდნენ.** ჩვენმა ბიჭებმა ოთხი ვერცხლისა და ორი ბრინჯაოს მედალი დაიმსახურეს. მხოლოდ ფინალური შეხვედრები წააგეს უშანგი კუზანაშვილმა (52კ), ავთანდილ ცინცაძემ (57კ), მინდია ბოდაველმა (90კ) და ზვიად ჩინჩალაძემ (მძიმე წონა), ხოლო მესამე ადგილები ნიკოლოზ კუციამ (82კ) და მირიან პავლიაშვილმა (100კ) დაიკავეს.



ტურნირი კომერციული იყო. ჩემპიონები 2500, ხოლო მეორე-მესამე პრიზიორები, შესაბამისად, 1500 და 1000 დოლარით დაჯილდოვდნენ.

საგულისხმოა ისიც, რომ მოსკოვში წლევანდელი ევროპის ჩემპიონატის მასპინძლობა მოგვანდეს. ეს მნიშვნელოვანი შეჯიბრება თბილისში 2-5 მაისს გაიმართება.

## აღიარება

# შარშანდელი ლაურეატები

**მსოფლიოს პირველი ჩოგანოსნები როჯერ ფედერერი და ჟიუსტინ ენენი მიიჩნიეს 2007 წლის საუკეთესო სპორტსმენებად სანკტ-პეტერბურგის მარიინის თეატრში გამართულ საერთაშორისო აკადემიის World Sports Award Laureu პრიზებით ყოველწლიურ მეცხრე დაჯილდოებაზე.**



„წლის გუნდად“ აღიარეს რაგბიში სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკის ნაკრები, ნომინაციაში „წლის აღმოჩენა“ გაიმარჯვა „ფორმულა-1“-ის ავტომრბოლმა ლუის ჰემილტონმა, ხოლო ნომინაციაში „წლის დაბრუნება“ – მორბენალმა პოლა რედკლიფმა, „შეზღუდული შესაძლებლობების საუკეთესო სპორტსმენი“ გახდა ესტორ ვერგეერი, „სპორტის აქტიური სახეობების საუკეთესო წარმომადგენელი“ კი – სნოუბორდისტი შონ უაიტი.



ჟიურიმ დაასახელა სამი სპეციალური პრემიის მფლობელებიც. „განსაკუთრებული მიღწევებისა და სპორტის ისტორიაში წვლილისთვის“ პრემია მიიღო სერგეი ბუბკამ, პრემია „მაღალი სპორტული სულისკვეთებისთვის“ დაიმსახურა დოპინგის წინააღმდეგ მებრძოლი კომიტეტის WADA ყოფილმა თავკაცმა რიჩარდ პაუნდმა, პრემია „სპორტი სიკეთის სახელით“ მიიღეს ძმებმა ბრენდენ და შონ ტუოხებმა (საერთაშორისო პროექტის „მოთამაშეები მშვიდობისთვის“ ორგანიზატორებმა).

**იმის მიუხედავად, რომ შერმადინი სულ რაღაც სამი წელიწადია, პროფესიულ კალათბურთში ვარჯიშობს, მან შეძლო, 2007 წლის ეროვნულ ჩემპიონატში უნიკალური შედეგები ეჩვენებინა.**



### ორბიტაზე

## ლიდერობს ტოპალოვი

**მექსიკურ მორელიაში გაიმართა 21-ე კატეგორიის საჭადრაკო სუპერტურნირის მესამე ტური. მსოფლიოს ექს-ჩემპიონმა ბულგარელმა ვესელინ ტოპალოვმა დაამარცხა მეორე ლიდერი – უკრაინელი ვასილ ივანჩუკი და 2,5 ქულით ერთპიროვნული ლიდერი გახდა. მსოფლიო ჩემპიონმა ვიში ანანდმა შავებით მოუგო მაგნუს კარლსენს. ეს ამ ტურნირზე ინდოელი დიდოსტატის შავებით მეორე გამარჯვებაა.**

ყაიმზე შეთანხმდნენ ლეკო და შიროვი, არონიანი და რაჯაბოვი. სამი ტურის შემდეგ ტურნირზე ასეთი მდგომარეობაა: ტოპალოვი- 2,5 ქულა, ანანდი –2, არონიანი, ივანჩუკი და ლეკო – 1,5, კარლსენი, რაჯაბოვი და შიროვი – თითო ქულა.

## საბონისი დაიქანცა



**ლეგენდარული ლიტველი კალათბურთელი არვიდას საბონისი, ახლა კაუნასის კლუბ „ჟალგირისის“ პრეზიდენტი რომაა, აპირებს თავისი აქციების გაყიდვას.**

მეგობრებთან საუბარში მან არაერთხელ დაიჩივლა, რომ მორალურად დაიქანცა „ჟალგირისის“ სამეურნეო პრობლემებზე ზრუნვით – სპონსორებთან ფულზე ხვეწნით, საქალაქო და სახელმწიფო ინსტანციებში მოლაპარაკებებით, და ა.შ. სახელგანთქმული კალათბურთელი თანახმაა, დარჩეს კლუბის ნომინალურ პრეზიდენტად, მის „სავიზიტო ბარათად“.

უკვე ასახელებენ საბონისის აქციების პაკეტის შეძენის პოტენციურ პრეტენდენტსაც –ლიტვის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანს – დარიუს მოცკუსს, რომლის კაპიტალი ფასდება 700 მილიონ ლიტად (200 მილიონ ევროდ).

## მანსინის ახალი აღმაფრენა

**რაღაც სულ სხვა აღმაფრენით თამაშობს წლევანდელ სეზონში იტალიური „რომას“ შემტევი ნახევარმცველი ალესანდრო ამანტინო მანსინი. სხვათაშორის ბრაზილიელ ფეხბურთელს აღმაფრენა არც მინდორს გარეთ, ცხოვრებაში აკლია.**

ალბათ გახსოვთ, ამას წინათ იტალიური პრესა ახმაურად მანსინის რომანზე მოდელ მანუელა არკურთან, თუმცა დიდი ხანი არ დასჭირვებია, რათა პრესა ახლა უკვე ფეხბურთელის ტელეწამყვან და მოდელ სარა ვარონესთან (ფოტოძ ურთიერთობაზე ალაპარაკებულიყო.

ახალგაზრდებმა შარშან, ზაფხულში გაიცნეს ერთმანეთი,როცა სარა ადრინდელ თაყვანისმცემელს გასცილდა. როგორც ჩანს, სენტიმენტალური მოვალეობისგან თავისუფალმა მანსინიმ გადაწყვიტა ინიციატივის გამოჩენა.

ამ დღეებში, სარამ და ალესანდრომ საერთო მეგობრებთან ერთად ივახშმეს, შემდეგ კი სასტუმროში განმარტოვდნენ. საკითხავია, რამდენად მტკიცე იქნება ახალი წყვილის ურთიერთობა, თანაც რამდენად უკეთ ითამაშებს მანსინი. ახლახან ხომ „რომა“ უფერულად მოთამაშე ალესანდროსთან ერთად დამარცხდა მეორე ადგილისთვის მთავარ კონკურენტთან – ტურინის „იუვენტუსთან“.



### თაობა

**ერთ-ერთ სპორტულ ღონისძიებაზე გიორგი შერმადინს ჰკითხეს, შენ და მამაშენი რომ გვეწვიეთ, ოჯახის სხვა წევრები სად დატოვეთო. სანამ ჭაბუკი ხმას ამოიღებდა, ცნობილმა რადიო-ტელეკომენტატორმა ჯამლეტ ხუხაშვილმა იხუმრა: მანქანაში ორნი ძლივს ეტევიან, სხვებისთვის ადგილი აღარ რჩებაო.**

**მართლაც, გოლიათთა ოჯახიდანაა გიორგი შერმადინი: მამაც მაღალი ჰყავს (207 სმ), დედაც (191 სმ), უფროსი ძმაც (208 სმ) და უმცროსი დაიკო მარიამიც (185 სმ), რომელიც მხოლოდ 14 წლისაა. თავად გიორგი, სადაც არის, 216 სანტიმეტრს ასცდება. კალათბურთის სპეციალისტები ვარაუდობენ, მცხეთის რაიონის სოფელ ნატახტარში დაბადებული (1989 წლის 2 აპრილს) და გაზრდილი ჭაბუკი ჯერ კიდევ მოიმატებსო სიმაღლეში. არადა, ხუთი წლის წინათ ვერავინ იფიქრებდა, რომ იგი ეროვნული ჩემპიონატის გამოკვეთილი ლიდერი გახდებოდა.**

# ნატახტრიდან – ნბა-ში „მედისონის“ გავლით

– მამაჩემს თავდაპირველად ძალიან უყვარს კალათბურთი, – მიხსნის გიორგი. – თავადაც უთამაშია ჭაბუკობისას. 2002 წელს მე და ჩემი ძმა სოსო თბილისის ერთ-ერთ საკალათბურთო სკოლაში მიგვიყვანა. რამდენიმე თვე ვივარჯიშეთ, მაგრამ განსაკუთრებული ენთუზიაზმი არ გამოგვიჩენია. მწვრთნელებსაც არ მოუკლავთ თავი, რადგან ძმები არც სიმაღლით გამოვირჩეოდით, არც სისხარტითა და, როგორც მაშინ ზოგიერთები ამბობდნენ – ნიჭიერებისაც დიდი არაფერი გვეტყობოდა...

ბიჭებს კალათბურთისთვის თავის დანებება უნდოდათ, მაგრამ მამის ხათრით ერთხანს ალეკო ჯაფარიძესთან განაგრძეს  წვრთნა. 2004-2005 წლების სეზონში სოსო შერმადინი ეროვნული ჩემპიონატის აუტსაიდერ თელავის გუნდში მე-12 წევრად აიყვანეს. გიორგი უკლუბოდ დარჩა. გაუხარდა კიდეც,  დავისვენებო, იფიქრა, მაგრამ ოჯახურმა სამიტმა სხვაგვარად გადაწყვიტა – კალათბურთზე გულაცრუებული ჭაბუკი, რომელიც უკვე 210 სანტიმეტრის სიმაღლისა გახლდათ და 88 კილოს იწონიდა, თბილისის „მაქაბის“ კლუბში მიიყვანეს. გუნდის პრეზიდენტმა, გამოცდილმა სპეციალისტმა ჯამლეტ ხუხაშვილმა გულდაგულ შეამოწმა გოლიათი ყმაწვილის შესაძლებლობები. დარწმუნდა, რომ საკალათბურთო ანაბანაში დიდად ვერ ერკვეოდა, მაგრამ ისეთი სპორტული მონაცემები ჰქონდა, მისი ხელიდან გაშვება არ შეიძლებოდა. ორიოდ დღეში ვარჯიშიც დაუნიშნა სპორტის სასახლეში.

ბატონ ჯამლეტ ხუხაშვილს იმ დღეების ქრონიკა ზუსტად აქვს აღწერილი დღიურებში. ჩვენთან საუბრისას, მეტი სიზუსტისთვის, სწორედ, ის ჩანაწერები მოიშველია.

– 2005 წლის თებერვალში ჩემმა შეგირდმა პირველად ითამაშა „მაქაბის“ დუბლშემადგენლობაში „კოლხას“ წინააღმდეგ. – იგონებს იგი. – დებიუტმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა – გიორგიმ იმ მატჩში 37 ქულა მოაგროვა. შეხვედრის შემდეგ თბილისის „დინამოს“ ყოფილმა სახელოვანმა კალათბურთელმა, აკადემიკოსმა ვაჟა გვანცელაძემ მოგვილოცა – ეს ჭაბუკი ნამდვილი აღმოჩენააო.

იმ დღიდან გიორგიმაც ირწმუნა საკუთარი შესაძლებლობები. ყოველდღიურად 5-6 საათს ვარჯიშობდა. ძირითად შემადგენლობაშიც ვანდეთ ადგილი. იქაც გაამართლა.



ყველა დარწმუნდა, რომ ტალანტთან გვქონდა საქმე, ამიტომ გადავწყვიტეთ, გიორგისთვის ყოველგვარი პირობები შეგვექმნა დასაოსტატებლად. ფინანსურად შვეიცარიაში მცხოვრები ჩემი მეგობარი მიხეილ სოროკა დაგვეხმარა. ხელი გაგვიმართეს ვაკისა და „ლაგუნა ვერეს“ საცურაო აუზების მესვეურებმა, ცნობილმა დასტაქარმა დავით ტატიშვილმა, რომლის კლინიკაშიც გიორგი გამოცდილი ექიმების მუდმივი მეთვალყურეობის ქვეშ დღემდე იმყოფება. გვერდით დაგვიდგნენ ფედერაციის ხელმძღვანელები, მწვრთნელები, მსაჯები. ვცდილობდით, საქართველოში შეგვექმნა იმის პრეცედენტი, რომ ნბა-ს ან ევროპის რომელიმე ძლიერ კლუბში მოხვედრა არა მარტო სატრანზიტო ქვეყნიდან, არამედ ეროვნული ჩემპიონატიდანაც შეიძლებოდა, რაც ჩვენი კალათბურთის ავტორიტეტს აამაღლებდა. ვფიქრობ, რომ მიზანს მივაღწიეთ...

გიორგი შერმადინმა 2005 წელს საქართველოს ჭაბუკთა ნაკრებთან ერთად მოსკოვში ახალგაზრდების მსოფლიო ფესტივალზე იასპარეზა. იმავე წელს ბულგარეთში ევროპის პირველობაზე ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ; ქალაქ ბერლინში ნბა-ს საერთაშორისო კემპზეც საერთო მოწონება დაიმსახურა, არადა, ჭაბუკ კალათბურთელს სპორტის ამ სახეობაში პროფესიულად ვარჯიშის სულ რაღაც 8 თვის სტაჟი ჰქონდა. შერმადინის თამაშით აღფრთოვანებულმა ლიტველმა სკაუტმა ვირგის ბულოტასმა სახალხოდ განაცხადა: „უნიჭიერესი კალათბურთელია. მას შეუძლია, მსოფლიოში აღმოჩნდეს პირველი, ვინც დაბალი რანგის შეჯიბრებებში მონაწილე კლუბიდან პირდაპირ ნბა-ში მოხვდება“.

თავდადებულ გარჯას სასურველი შედეგიც მოჰყვა. ეროვნული ჩემპიონატის დუბლშემადგენლობათა (20 წლამდე) ერთ-ერთ მატჩში მან 89 ქულა (!) მოაგროვა, უმაღლესი ლიგის გუნდების პაექრობისას ერთ ორთაბრძოლაში 24-ჯერ მოხსნა ფარიდან ასხლეტილი ბურთი, „დინამოს“ 60 ქულა ჩაუგდო, ხოლო საქართველოს თასზე სტუ-ს წინააღმდეგ თამაშისას 76 ქულა მიითვალა. სახელდახელო კონკურსისას 12 წუთში 236-ჯერ ჩატენა ბურთი კალათაში, საშუალო მანძილიდან ნახტომში კი ორმოცდაათივე ცდა შედეგიანი გამოუვიდა. მსგავს მაჩვენებლებს ჩვენმა სპეციალისტებმა ვერც ერთი ქვეყნის სტატისტიკურ მონაცემებში ვერ მიაკვლიეს.

2006 წლის ზამთარში შერმადინი ლიტვაში ნბა-ს მორიგ კემპზე მიიწვიეს, რომელიც შარუნას მარჩიულიონისისა და არვიდას საბონისის სკოლებში ჩატარდა. ქართველი კალათბურთელი აქაც ერთ-ერთი საუკეთესო იყო.

2007 წლის აპრილში გიორგი შერმადინი მსოფლიო ახალგაზრდულ ნაკრებში მიიწვიეს. მემფისში ეს გუნდი აშშ-ს ნაკრებს შეხვდა. ამგვარი ორთაბრძოლები ტრადიციულად ნბა-ს დრაფტის წინ იმართება და მას ამერიკის საკალათბურთო ლიგის მენეჯერები ესწრებიან. გიორგი შერმადინი ოკეანის გაღმა შეკრებილთა შორის ერთი წლით უმცროსი იყო. სამწუხაროდ, მან ვერ შეძლო საკუთარი ოსტატობის წარმოჩენა, რადგან პირველივე დღეს ვარჯიშისას ტრავმა მიიღო. თბილისის ტრავმატოლოგიურ კლინიკაში ბაადურ ზემლიცკის ხელმძღვანელობით ქირურგთა ცნობილმა კვარტეტმა გაუკეთა მას მენისკის ოპერაცია. რეაბილიტაცია დავით ტატიშვილის კლინიკაში გაიარა პირადი ექიმების – პალიკო კასრაძის და თემურ ხვედელიძის მეთვალყურეობით.

– 2007 წლის ნოემბერში ბაირონ დევისის პირადი მენეჯერი ტოდ რამასარი გვესტუმრა კარმელო ენტონის მენეჯერთან ერთად, – მითხრა ბატონმა ჯამლეტმა, – იმის მიუხედავად, რომ მძიმე ოპერაციის შემდეგ გიორგი ჯერ კიდევ არ იყო ჩვეულ ფორმაში, ოკეანისგაღმელებმა უყოყმანოდ დაგვაკავშირეს თავიანთ სააგენტოს და ნბა-ს დრაფტისთვის მოსამზადებლად შესანიშნავი პროგრამა დაგვიტოვეს,  რაც ითვალისწინებს შერმადინის ამერიკაში გამგზავრებას, ნბა-ს კლუბების საუკეთესო მწვრთნელების ხელმძღვანელობით ვარჯიშებს, მსოფლიოს  ახალგაზრდულ ნაკრებში მიწვევას, იტალიის ქალაქ ტრევიზოში ტრადიციულ წინასადრაფტო კემპში მონაწილეობას და სერიოზული მომზადების შემდეგ 25 ივნისს ნიუ-იორკის „მედისონ სკვერ გარდენში“ დრაფტზე წარდგენას. მჯერა, რომ გიორგი ქართულ საკალათბურთო სკოლას იქაც ასახელებს...

იმის მიუხედავად, რომ შერმადინი სულ რაღაც სამი წელიწადია, პროფესიულ კალათბურთში ვარჯიშობს, მან შეძლო, 2007 წლის ეროვნულ ჩემპიონატში უნიკალური შედეგები ეჩვენებინა. სტატისტიკური მონაცემები ასეთია: საშუალოდ მატჩში 30 ქულა, 17 მოხსნა, 3 დაფარება, 4 პასი. სწორედ ამ მაჩვენებლების გამო სპეციალისტებმა და ჟურნალისტებმა იგი შარშან სუპერლიგის საუკეთესო კალათბურთელად დაასახელეს.

– ბედნიერი ვარ ასეთი აღიარებით, – სიხარულს ვერ მალავს ახალგაზრდა სპორტსმენი. – არასდროს დამავიწყდება 2006 წლის სექტემბერიც, როცა ეროვნულ ნაკრებში სადებიუტო მატჩი ვითამაშე ლუქსემბურგის წინააღმდეგ და ნიკა ცქიტიშვილის პასით პირველი ბურთი ჩავაგდე კალათაში.

– გული თუ დაგწყდა რამეზე?

– როგორ არა: ამერიკაში ტრავმა რომ მივიღე და მსოფლიო ნაკრების შემადგენლობაში ვერ ვითამაშე. დიდი იმედგაცრუება იყო ეროვნული ნაკრების ისლანდიასთან ერთი ქულით დამარცხებაც, რის გამოც ევროპის ჩემპიონატის A ჯგუფში ვერ გადავედით, სადაც კონტინენტის საუკეთესო კალათბურთელებთან მომიწევდა თამაში.

ყოველივეს მიუხედავად, ოპტიმისტურად ვარ განწყობილი. ახლა ჩემი მთავარი მიზანია, 2008 წლის დრაფტზე ამერიკელ მწვრთნელებს მოვაწონო თავი და ნბა-ს რომელიმე კლუბში მოვხვდე, რაც პროფესიული დაოსტატების მეტ საშუალებას მომცემს, ამით კი ეროვნულ ნაკრებს უკეთ გამოვადგები.

მინდა ვისარგებლო შემთხვევით და დიდი მადლობა გადავუხადო ყველას, ვინც ხელი გამიმართა და გვერდით დამიდგა, რათა დიდი კალათბურთის ლაბირინთებში გზა გამეკვლია.

**ესაუბრა**
**ვაჟა დანელია**

№ 32. ოთხშაბათი. 20 თებერვალი. 2008 წელი.

# საქკივარი

● წამოჭრილი საკითხები რამდენჯერმე დაისვა როგორც მთავრობის, ასევე საკანონმდებლო ორგანოების დონეზე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ არის, რაც სრულიად ბუნებრივ ეჭვს ბადებს, რომ ასეთი ღონისძიებები ვილაცეებს მაღალ ეშელონებში ხელს არ აძლევს, ანუ ისინი წილში არიან მწარმოებლებთან თუ შემომტანებთან და ქვეყნის ბედი ნაკლებადადარდებთ



◉ თავსატეხი

# 10 წელი — ცელოფანის პაკეტების გამო?!

## მრავალი პრობლემის შემქმნელი ერთჯერადები...

**ინგლისური სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალის „ნიუ-საიენთისთ“-ის მიახლოებითი გაანგარიშებით, ამჟამად დედამიწის მკვიდრნი ყოველწლიურად 500-დან 1000 მილიარდამდე პოლიეთილენის პარკს მოიხმარენ.**

ბრიტანეთის პლასტმასების მწარმოებელთა ასოციაცია ამტკიცებს, რომ „პაკეტები ჰიგიენურია, უსუნო, წყალგაუმტარი და საკმაოდ მოსახერხებელი შესაფუთი მასალაა ვაჭრობის დარგში“, ხოლო საერთაშორისო ორგანიზაციის „დედამიწის მეგობრების“ თანახმად, ეს არის „ფულადი სახსრების უსარგებლო ხარჯვა ისეთ საგანზე, რომელსაც ჩვენ ერთხელ, მხოლოდ პროდუქტების სახლში მისატანად მოვიხმართ, თანაც ამ პოლიმერული ნაწარმის შემდეგი უტილიზაცია ხანგრძლივ პერიოდს მოიცავს და დიდ კაპიტალდაბანდებებს საჭიროებს“. მათი დაშლის პროდუქტები აბინძურებენ ნიადაგს, წყალს, ჩვენს არე-მარეს. ამ პაკეტებით მოფენილია პლაჟები, წყალსატევები, მაგისტრალები... განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაა ქალაქებში. ხეებზე ჩამოკიდებული პაკეტები ამახინჯებენ ქალაქის იერსახეს, ანაგვიანებენ ჩვენს საცხოვრებელ გარემოს. რამდენიმე წლის წინათ ნიუ-იორკის მცხოვრებლებმა გადაწყვიტეს ქალაქის ხეების განთავისუფლება ამ უმსგავსობისაგან, რისთვისაც ფირმა ჩამოაყალიბეს. აღმოჩნდა, რომ ღონისძიების განხორციელება საკმაოდ დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ამჟამად ევროპაში 1 ტონა პლასტიკური პაკეტების დაწვაზე იხარჯება 100 ევრო, ხოლო შემდგომში უტილიზაცია-დამარხვაზე — 60 ევრო. დანახარჯები ამ პრობლემის ერთი მხარეა. მთავარი და შემაშფოთებელი სხვა არის. ჯერ კიდევ გასული საუკუნის 70-იან წლებში ინგლისელმა მეცნიერებმა პოლიეთილენის და სხვა პოლიმერების მიკროსკოპული ნაწილაკები აღმოაჩინეს ზღვის ქვიშასა და შლამში, ასევე წყალმცენარეებში. ზღვის კუ, რომელიც მედუზებით იკვებება, მედუზას ამ პაკეტებისგან ვერ არჩევს, ყლაპავს მათ და კუჭის დაცობის გამო იღუპება. ნორმანდიის სანაპიროზე გამორიყული ვეშაპის კუჭში მკვლევარებმა 800 კგ-მდე (!ძ



პლასტიკური პაკეტი და სხვა სინთეზური მასალები აღმოაჩინეს. ავსტრალიელი ეკოლოგების მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში ამ პოლიმერული პაკეტებისგან ათეულ ათასობით ზღვის კუ, სელაპი და ვეშაპი იღუპება. მეცნიერებმა და ეკოლოგებმა განგაშის ზარები შემოჰკრეს. მათი გამოსვლების შედეგად მრავალმა სახელმწიფომ მიიღო საკმაოდ მკაცრი საკანონმდებლო აქტი... მაგალითად, დანიაში მაღაზიებისათვის, რომლებიც „უფასო“ პაკეტებს ხმარობენ პროდუქტების შესაფუთად, 1994 წლიდან დაწესებულია გადასახადი. ამ კანონის მიღებიდან სულ მოკლე დროის განმავლობაში ქვეყანაში პაკეტების რაოდენობა 61 პროცენტით შემცირდა.

ბანგლადეშში უფრო შორს წავიდნენ. იქ, 2002 წელს მიღებული კანონის თანახმად, აკრძალულია პოლიეთილენის წარმოება და მოხმარება. მწარმოებელს ემუქრება სასჯელი 10 წლამდე და ჯარიმა 9000 გირვანქა სტერლინგი, ხოლო პარკის მფლობელმა უნდა გადაიხადოს 5 გირვანქა სტერლინგი. ეს ზომები ძალიან მკაცრი მოგეჩვენებათ, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ ქვეყანაში პრაქტიკულად არ არსებობს ნაგვის შეგროვებისა და გადამუშავების სისტემა. ქალაქის ქუჩებში საერთოდ ვერ ნახავთ ნაგვის ურნებს. არადა, ადგილობრივი მოსახლეობა ყოველწლიურად 10 მილიონამდე მარტო პოლიმერული პარკის ნაგავს ჰყრიდა. ამ პაკეტებით მოფენილი იყო მდინარე ბურიგანგა, რომელიც ქვეყნის დედაქალაქ დაკაში მიედინება. პაკეტებმა დაფარეს ქვეყნისათვის სასიცოცხლო მნიშვნელობის სარწყავი სისტემები. სწორედ მათი მიზეზით მოხდა კატასტროფული წყალდიდობები 1988 და 1998 წლებში. ამ კანონის მიღებიდან 2 წლის შემდეგ აღორძინდა ადგილობრივი მრეწველობის თითქმის მივიწყებული დარგი — ჯუთის ტომრების დამზადება. დაკას ქუჩებში გამოჩნდნენ ბავშვები, რომლებიც ძველი სასკოლო სახელმძღვანელოებისა და ძველი ჟურნალ-გაზეთებისგან თვითნაკეთი ქაღალდების პარკებით ვაჭრობენ. არანაკლები მკაცრი სანქციები განახორციელეს მეზობელი ინდოეთის შტატის ხიმაჩალ-პრადეშის ხელისუფლებმა. ყოველ მოქალაქეს, ვისაც აღმოაჩნდება პოლიეთილენის პარკი, აჯარიმებენ 1000 გირვანქა სტერლინგით და 7 წლით ციხეში აგზავნიან!

სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აკრძალეს 30 მიკრომეტრზე ნაკლები სისქის პარკების გამოშვება. ხელისუფლება იმედოვნებს, რომ სქელ და მაგარ პარკებს მოსახლეობა ასე ადვილად აღარ გადაყრის და მათ შედარებით დიდი ხნის განმავლობაში მოიხმარს (სუპერმარკეტებში არსებული პაკეტების საშუალო სისქე დაახლოებით 18 მიკრომეტრიაძ.

ავსტრალიაში, სადაც მოსახლეობა ყოველწლიურად 6 მილიარდამდე პლასტიკურ პაკეტსა და ჩანთას მოიხმარს, მიმდინარეობს ფართო ნაციონალური კამპანია ცნობილი მსახიობების მონაწილეობით პაკეტების გამოყენების საწინააღმდეგოდ. უკვე რამდენიმე ქალაქმა გამოაცხადა თავი უპაკეტო ზონად.

ირლანდიაში 2002 წლიდან შემოღებულია ჯარიმა — 15 ევროცენტი თითოეულ ნაყიდ პარკზე, ანუ ჯარიმას იხდის მყიდველი. ამ კანონის მიღებიდან სულ რამდენიმე თვეში პაკეტების მოხმარება 90 პროცენტით შემცირდა, ხოლო ამოღებული თანხა — 23 მილიონი ევრო გარემოს დაცვის ღონისძიებებზე დაიხარჯა (სხვათა შორის, ირლანდიაში შემოღებულია გადასახადები სალეჭ რეზინებზეც. თითოეული გაყიდული შეკვრიდან სახელმწიფო იღებს 10 ევროცენტს, ხოლო სინგაპურში საერთოდ აკრძალულია სალეჭი რეზინის შემოტანა, რადგან ისინი პაკეტებთან ერთად საკმაო ანაგვიანებენ ადამიანთა საცხოვრებელ გარემოს.

ასევე გვინდა აღვნიშნოთ, რომ, მაგალითად, ადრე მდიდარ ნორვეგიელებს ძალიან მოსწონდათ ეგზოტიკურ თბილ ქვეყნებში მოგზაურობა და შვებულების გატარება. ამჟამად აქ მიღებული კანონების თანახმად ასეთი მოგზაურობის მსურველები დამატებით თანხად მგზავრობის ბილეთის ფასზე მეტს იხდიან. აღებული ამონაგები მთლიანად ხმარდება ადგილობრივი ტურიზმისა და მისი შესაფერისი ინფრასტრუქტურის განვითარებას.

ამგვარი „დრაკონული“ კანონებით ცდილობენ სახელმწიფოები ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრებას, გარემოს დაცვას და მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებას და ბიუჯეტისათვის დამატებითი სახსრების მოძიებას.

ჩვენს მიერ აქ წამოჭრილი საკითხები რამდენჯერმე დაისვა როგორც მთავრობის, ასევე საკანონმდებლო ორგანოების დონეზე. სამწუხაროდ, ჯერჯერობით არავითარი პასუხი არ არის, რაც სრულიად ბუნებრივ ეჭვს ბადებს, რომ ასეთი ღონისძიებები ვილაცეებს მაღალ ეშელონებში ხელს არ აძლევს, ანუ ისინი წილში არიან მწარმოებლებთან თუ შემომტანებთან და ქვეყნის ბედი ნაკლებად ადარდებთ.

**მედეა თავდიშვილი,**
ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი

◉ ჩვენებურები

# მახათადან აფრენილი შევარდენი

**იმ ხანებში ცნობილ ქართველ ავიაკონსტრუქტორზე, საბჭოთა კავშირში ჰიდროთვითმფრინავების პირველ მშენებელზე გიორგი ბერიაშვილზე ტელენარკვევს ვწერდი. მოვიარე პეტრეს ქალაქი, მოსკოვი, ტაგანროგი, ქერჩი, აზოვი და პალიასტომი, სადაც თავის დროზე საცდელ გაფრენებს ატარებდა ბერიაშვილის პირველი ჰიდროთვითმფრინავი — „МБР-2“. ტაგანროგში ავიაქარხნის (მაშინ, კონსპირაციისათვის, უბრალოდ, მანქანათმშენებელი ქარხანა ერქვაძ, ე. წ. „დაცულ“ განყოფილებაშიც „შევაღწიე“ და ის კინოფირებიც გადმოვმცეს, რომელშიც პირველი, საცდელი გაფრენები იყო ასახული. მათ უკვე გასვლოდა ყავლი „საიდუმლო“ გრიფისა.**

მერე, ეს ზღვა მასალა ერთ დიდ „ხურჯინში“ მოვათავსე და კვლავ მოსკოვს დავუბრუნდი, რათა ბატონ გიორგისთან ერთად დამელაგებინა, შემეჯერებინა ერთმანეთთან და... საწერ მაგიდას მივჯდომოდი.

ორი თვის შემდეგ მოვრჩით „შეჯერებას“. დავიხურე ქუდი და თბილისში ვაპირებდი გამომგზავრებას, რომ ბატონმა გიორგიმ ბრძანა:

— ყმაწვილო, ჯერ კიდევ, მეტი თუ არა ერთი კვირა მაინც მოგიწევს მოსკოვში დარჩენა... მე, როგორც იქნა, მოვახერხე და, ახლა მოგვეცა უფლება შეგახვედრო ერთ მეტად საინტერესო პიროვნებას... იგი ღრმა მოხუცებულობაშია გადამდგარი და ბარვიხაში ცხოვრობს განცალკევებით...

იქ გველოდება ალექსი ვლადიმერის ძე შიუკაშვილი, საბჭოთა ჰაერნაოსნობის უხუცესი ფიგურა!..

...ბარვიხას სამთავრობო აგარაკები, თითქოსდა, სხვა სახელმწიფო იყოს, მკაცრად არის იზოლირებული გარე სამყაროსგან, მაგრამ სამაგიეროდ აქ არის „მთელი ქვეყანა“ — სანადირო ტყე-ველებიც კი, რადგან აქ „უმაღლესი გვამები“ ატარებენ დროს. ალექსი შიუკაშვილი კი აქ მუდმივად ცხოვრობს!

...მართლაც, ერთი კვირა დამაგვიანდა თბილისში დაბრუნება, სამაგიეროდ ათობით ფოტოკადრი და საინტერესო ამბავი წამოვიღე „საგზლად“.

საქართველოში მფრინავი აპარატების მშენებლობის ისტორიას მეცხრამეტე საუკუნიდან ჩაეყარა საფუძველი. მეოცე საუკუნის დასაწყისიდან კი, ამ ისტორიამ ფართოდ გაშალა მხრები და არაერთი წარმატება ჩაიწერა თავის ფოლიანტებში. მათზე საუბარი ამ მცირე საგაზეთო სტატიაში შორს წაგვიყვანდა, ამიტომ 1908 წლის 5 მაისიდან დავიწყოთ:

ამ დღეს გიმნაზისტი ალექსი შიუკაშვილი, რუსეთის იმპერიაში პირველად, თავისი კონსტრუქციის პლანერით მახათას მთიდან გაფრინდა! აქედან დაიწყო შიუკაშვილის „როგორც ავიამშენებელ-ავიატორის ბიოგრაფია და მას შემდეგ, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე ერთი დღითაც არ მიუტოვებია მოღვაწეობა ამ დარგში. მისმა უშტკიცესმა ხასიათმა შექმნა ე. წ. მოძრავფრთებიანი საფრენი აპარატი „უტკა“. შიუკაშვილმა მსოფლიოში პირველმა გამოიყენა სამთვლიანი შასი, რომლის წინა თვალი ასაკეცი იყო; მონაწილეობდა პირველ მსოფლიო ომში, იყო შორეული აღმოსავლეთის, მოსკოვის, თურქმენეთის საავიაციო ესკადრილიების მეთაური; 1923 წლიდან ალექსი შიუკაშვილის ინიციატივით დაარსდა ამიერკავკასიის აეროფლოტი. მეორე მსოფლიო ომში ხელმძღვანელობდა სამხრეთის საჰაერო ძალებს. ომის შემდგომ იყო სამხედრო საჰაერო ძალების საგამომცემლო განყოფილების უფროსი, მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტის („მაი“ძ სამხედრო კათედრის ლექტორი. მის კალამს ეკუთვნის მრავალი წიგნი და სტუდია საავიაციო სფეროში.



გიორგი ბერიაშვილი



ალექსი შიუკაშვილი

მოსკოვის ოფიცერთა სახლის დიდ საგამოფენო-სამუზეუმო დარბაზში დღესაც დგას შიუკაშვილის მოძრავფრთიანი „უტკა“-„მახალიოტის“ მაკეტი და მასთან დიდხანს შეგაჩერებთ გიდი, რადგან ეს დარბაზი ხაზს უსვამს ალექსი შიუკაშვილის მოღვაწეობის მნიშვნელობას ავიაციის განვითარებაში.

...ბატონ გიორგი ბერიაშვილთან ერთად ვიდექი ამ „მახალიოტთან“ და ჩვენს თვალწინ იშლებოდა კიდევ ერთი ქართველის ნიჭი.

გამოვედით მუზეუმიდან და ფეხით დავუყევით ქუჩას.

— უნიჭიერესი ადამიანია ალექსი ვლადიმერის ძე, დაუდეგარი და მიზანსწრაფული... იცით, ახლაც, ამ ოთხმოცი წლის კაცმა განცხადება შეიტანა ზემდგომ ორგანოებში, კოსმოსში უნდოდა გაფრენა!.. ხომ ხედავდით, რამხელა ცეცხლი იყო მის გამოხედვაში... ასეთი ადამიანების სახელი ხშირად უნდა ესმოდეთ ახალგაზრდებს!..

ამიტომაც გავიხსენეთ დღეს ეს დაუდგრომელი კაცი, ოდესღაც მახათას მთიდან რომააფრინა თავისი ოცნების შევარდენი, მას ხომ 19 თებერვალს 115 წელი შეუსრულდებოდა!

**ზაურ ფიფია**

# სხვადასხვა

● მთავრობის 50-დღიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, 100 საუკეთესო ბიზნესპროექტის დაფინანსება იაფი სესხის მეშვეობით მოხდება



## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**რუბრიკას უძღვება გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ იურიდიული კონსულტანტი ირინე ღლონტი.**

**კითხვა: ვარ 92 წლის. ომის პერიოდში ზურგში თავდადებული შრომისათვის დაჯილდოებული ვარ „სტალინის ორდენით“. როგორც მითხრეს, გამათანაბრეს ომის მონაწილეებთან, მაგრამ პენსია მათი თანაბარი ოდენობით მაინც არ მეძლევა. იქნებ ამიხსნათ, რატომ ხდება ასე და რა ოდენობის თანხა უნდა მეძლეოდეს?**

**ზურაბ ნაროზაშვილი**

**პასუხი:** შეკითხვაში აღნიშნული პირობების მიხედვით, თქვენი პენსიის ძირითადი ოდენობა უნდა იყოს 54 ლარი და სოციალური სუბსიდია 22 ლარი, 70 ლარი ძირითადი პენსია ეძლევათ უშუალოდ II მსოფლიო ომის მონაწილეებს, რომლებიც მოქმედ არმიაში იბრძოდნენ.

* * *

**კითხვა: დანიშნული მაქვს ასაკის პენსია. 5 წლის წინ ხიდან ჩამოვვარდი და მძიმე ავადმყოფი გავხდი. ექიმებმა მცნეს მნიშვნელოვნად გამოხატული შრომისუუნარობის სტატუსის მქონედ (II ჯგუფის ინვალიდად). ეკონომიკურად ძალიან მიჭირს. მეორე პენსიის დანიშვნაზე ან პენსიის გაზრდაზე უარი მითხრეს. რამდენად სამართლიანია ასეთი პასუხი?**

**თინათინ ჭიჭინაძე**

**პასუხი:** სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონული სამსახურის გადაწყვეტილება კანონიდან გამომდინარეა, ვინაიდან ერთი და იმავე პირებისთვის ორი სახის პენსიის დანიშვნას ან მოხუცებულობის პენსიის გაზრდას იმის გამო, რომ პიროვნება ინვალიდია, მოქმედი კანონი არ ითვალისწინებს.

* * *

**კითხვა: ვარ მარტოხელა, დანიშნული მქონდა 22 ლარი დახმარება, მაგრამ რატომღაც გასული წლიდან აღარ მაძლევენ. გთხოვთ, მაცნობოთ, ვის მივმართო?**

**მაია ფახურიძე**

**პასუხი:** გასული წლიდან სოციალური დახმარების გაცემა გაუგრძელდათ მარტოხელებს, რომელთაც იგი ეძლეოდათ 2007 წლის 1 იანვრამდე. თუ თქვენ საბუთები წესრიგში გქონდათ და ამ დროისთვის იყავით დახმარების მიმღები, მისი გაცემა არ უნდა გქონდეს შეწყვეტილი.

გირჩევთ, აღნიშნულ საკითხზე თუ დღემდე არ მიგიმართავთ, დაუყოვნებლივ მიმართოთ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს შესაბამის სამსახურს.

* * *

**კითხვა: მაქვს ორმაგი მოქალაქეობა. მისრულდება საპენსიო ასაკი, მინდა დავინიშნო პენსია. გთხოვთ, გამარკვიოთ, რა საბუთების წარდგენაა დამატებით საჭირო სოციალური სუბსიდიების სააგენტოში პენსიის დასანიშნად?**

**ვასილ ზახაროვი**

**პასუხი:** ორმაგი მოქალაქეობის მქონე პირმა პენსიის დასანიშნად დამატებით უნდა წარადგინოს ცნობა იმის შესახებ, რომ იგი არ იღებს არანაირ პენსიას ან სოციალურ დახმარებას იმ ქვეყნიდან, რომლის მოქალაქედაც ითვლება.

* * *

**კითხვა: გთხოვთ, განმიმარტოთ, კანონის თანახმად, მაქვს თუ არა უფლება, მოვითხოვო ჩემთვის საინტერესო საჯარო ინფორმაცია. თუ მაქვს, გთხოვთ, მიმითითოთ საფუძველი. ვინაიდან მის მიღებასთან დაკავშირებით წინააღმდეგობას წავაწყდი.**

**მირიან ნეფარიძე**

**პასუხი:** საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 370-ე მუხლის თანახმად, ყველას აქვს უფლება მოითხოვოს საჯარო ინფორმაცია და აირჩიოს აღნიშნული ინფორმაციის მიღების ფორმა. „ყველაში“ იგულისხმება როგორც იურიდიული, ისე ფიზიკური ქმედუნარიანი პირი.

* * *

**კითხვა: ორი წლის წინათ სამსახურიდან უმიზეზოდ დამითხოვეს და არასაპენსიო ასაკის კაცი სრულიად უსახსროდ დამტოვეს. ჩემს კითხვაზე, რამდენ დღეში დამენიშნებოდა პენსია, ზერელედ მიპასუხეს, ვერ გეტყვითო. იქნებ თქვენ მაინც მიპასუხოთ, რა ვადაა კანონით დაწესებული ჩემი საპენსიო საკითხის გადასაწყვეტად?**

**გურამ ნოზაძე**

**პასუხი:** მოქმედი საპენსიო კანონის თანახმად, სოციალური სუბსიდიების სააგენტოს რაიონული სამსახური ვალდებულია, ნებისმიერი სახის პენსიის დანიშვნის საკითხი განიხილოს განცხადებისა და ყველა საჭირო დოკუმენტის სრულყოფილად წარდგენიდან არაუგვიანეს 10 დღის ვადაში.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

### განცხადება

**მიმდინარეობს მეპაიეთა სიების დაზუსტება (ლილო, იუმაშევის 51ძ.**

**თბილისის სამომხმარებლო კოოპერატივი.**

### განცხადება

***თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქემ მეჰმეთ იუქსელმა დაკარგა თურქეთის პირადობის მოწმობა, ავტომობილის მართვის მოწმობა და აზერბაიჯანში დროებითი ცხოვრების ნებართვის საბუთი.***

## ინფორმაცია

### იაფი სესხი საუკეთესო ბიზნესმენებს

**მთავრობის 50-დღიანი სამოქმედო გეგმის მიხედვით, 100 საუკეთესო ბიზნესპროექტის დაფინანსება იაფი სესხის მეშვეობით მოხდება.**

სესხის სარგებლობის ვადა 25 წლამდე იქნება და მისი სარგებლობის წლიური განაკვეთი 4 პროცენტით განისაზღვრება. პროექტების წარმოდგენის საშუალება ექნება საქართველოს ნებისმიერ მოქალაქეს ან კომპანიას.

გამოცდილი ჟიური საჯაროდ შეაფასებს ბიზნესპროექტებს და ეტაპობრივად მოხდება გამარჯვებული პროექტების დაფინანსება.

აღნიშნული პროექტის განხორციელებისათვის ბიუჯეტში გათვალისწინებულია 500 მილიონი ლარი.

### მარტში პროფესიული გადამზადება დაიწყება

**მთავრობის ინიციატივით, მარტში პროფესიული გადამზადების ინფრასტრუქტურის შექმნის პროგრამა დაიწყება.**

პროგრამის ფარგლებში როგორც თბილისში, ასევე რეგიონებში შეიქმნება 30 ათასზე მეტი თანამედროვე პროფესიული გადამზადების ცენტრი.

პროფესიული ცენტრების შექმნა საშუალებას მისცემს ნებისმიერ მოქალაქეს შეიძინოს შრომის ბაზარზე მოთხოვნილი სპეციალობა და ამით გაზარდოს დასაქმების შანსი.

პროგრამა ითვალისწინებს ასევე სახელმწიფოს მიერ მეწარმეთათვის არსებული ინფრასტრუქტურის შეღავათიან პირობებში გადაცემას, რათა შეიქმნას ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული მოქნილი პროფესიული ცენტრები.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**საქართველოს კულტურის ფონდის პრეზიდიუმი გულისტკივილით იუწყება ახალგაზრდა მხატვრის**

**თორნიკე ამბოკაძის**

**ტრაგიკულ გარდაცვალებას და თანაუგრძნობს ოჯახს.**

**მერაბ ბერძენიშვილი**

---

**თენგიზ, ქეთინო ქავთარაძეები, ზაურ, ნელი ფხალაძეები თანაუგრძნობენ ნოდარ და ეთერ მუმლაძეებს ძმისა და მაზლის**

**გურამ იოსების ძე მუმლაძის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.**

---

**შპს „ოპტიკურ-ბოჭკოვანი ტელეკომუნიკაციის ქსელი — „ფოპტნეტის“ თანამშრომლები ღრმა მწუხარებას გამოთქვამენ ზვიად პავლიაშვილის დედის**

**რუსუდან თევდორეს ასულ**

**მელთაური-პავლიაშვილის**

**გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს. დაკრძალვა 23 II, 13 სთ. ყვარლის რაიონი სოფ. ახალსოფელი.**

---

საქმე №2-7-08

15 თებერვალი 2008 წელი ქ. გარდაბანი

**გარდაბნის რაიონული სასამართლო**

### განჩინება

**გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსამართლე ქეთინო ლუაშვილმა, ზეპირი მოსმენის გარეშე განვიხილე სს „თბილსრესის“ ქონების მიმართ წარმოებულ გაკოტრების საქმეზე გაკოტრების კრედიტორთა კრების მოწვევის საკითხი, რა დროსაც**

**დაადგინა:**

1. სს „თბილსრესის“ გაკოტრების კრედიტორთა კრება მოწვეულ იქნეს 2008 წლის 28 თებერვალს 12 საათზე გარდაბნის რაიონულ სასამართლოში სხდომის დარბაზი №1.
2. აღნიშნული განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილები გამოქვეყნდეს გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ და ქვემო ქართლის რეგიონალურ ტელევიზიაში; გამოქვეყნების ხარჯები დაეკისროს გაკოტრების მასას;
3. განჩინების გასაჩივრება არ დაიშვება.

**მოსამართლე ქ. ლუაშვილი**

---

საქმე №2/651

### განჩინება

**გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ**

8 აგვისტო 2007 წელი ქ. ქუთაისი

**ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილმა ზეპირი განხილვის გარეშე განვიხილე შპს „ფორტუნას“ დირექტორის თეიმურაზ უგულავას განცხადება შპს „ფორტუნას“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის თაობაზე.**

**დავადგინე:**

1. შპს „ფორტუნას“ მიმართ გაიხსნას გაკოტრების საქმის წარმოება;
2. მოვალე შპს „ფორტუნას“ აეკრძალოს თავისი ქონების განკარგვისა და მართვის უფლება;
3. გაკოტრების მმართველად დაინიშნოს თორნიკე ხაჭაპურიძე, პროფესიით სამართალმცოდნე, მცხოვრები ქ. ქუთაისი ბარნოვის ქ. №33-ში;
4. გაკოტრების მმართველმა დაუყოვნებლივ მიიღოს მმართველობაში გაკოტრების მასა შპს „ფორტუნას“ ქონება, კეთილსინდისიერად მართოს და განკარგოს იგი;
5. მოვალე შპს „ფორტუნას“ ყველა კრედიტორმა ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში წარუდგინონ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს (ქ. ქუთაისი ნიუპორტის ქ. №32ძ თავიანთი მოთხოვნები შესაბამის ვალუტაში, თანხისა და ვალის საფუძვლის ჩვენებით, ვადის გასვლის შემთხვევაში, განაწილება მოხდეს მათი მოთხოვნების გათვალისწინებით;
6. ყველა იმ პირს, რომელსაც მოვალე შპს „ფორტუნას“ ქონებას მიკუთვნებულ ნივთზე აქვს საკუთრების ან გირავნობის მოთხოვნის უფლება, ამ განჩინების გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში განაცხადონ გაკოტრების მმართველთან ამ უფლების შესახებ (ქ. ქუთაისი, მშენებლის №19ძ;
7. ყველა იმ პირს, რომელიც ფლობს შპს „ფორტუნას“ ქონების მიკუთვნებულ რაიმე ნივთს ან ვალდებულია მოვალის მიერ რაიმე შესრულებაზე, აეკრძალოს ნივთის დაბრუნება ან ვალდებულების შესრულება და დაევალოს შესრულება მხოლოდ გაკოტრების მმართველს;
8. გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ ეცნობოს ყველა იმ პირებს, რომელთანაც შპს „ფორტუნას“ აქვს საქმიანი ურთიერთობა;
9. განჩინების შესავალი და სარეზოლუციო ნაწილი გამოქვეყნდეს პრესაში, აგრეთვე სასამართლოს დაფაზე:
10. შპს „ფორტუნას“ მიმართ გაკოტრების საქმის წარმოების გახსნის შესახებ მონაცემები შეტანილი იქნას სამეწარმეო რეესტრში, რის შესახებაც ეცნობოს მარეგისტრირებელ ორგანოს.

**მოსამართლე ლაშა ქოჩიაშვილი**
**ასლი სწორია**
**მოსამართლის თანაშემწე**
**თინიკო გიორხელიძე**

## კრიმინალი

### გაძარცვეს ბაგა-ბაღი

**რუსთავში №32 ბაგა-ბაღი ჯერ დაუდგენელმა პირებმა გაძარცვეს.**

როგორც რუსთავის ბაგა-ბაღების გაერთიანების ხელმძღვანელმა ციალა გაბისონიამ განაცხადა, ქურდები შენობაში მაშინ შევიდნენ, როდესაც დარაჯი ეზოში იმყოფებოდა. მოპარულია ალუმინის ქვაბები, ტაფები და სხვა ნივთები.

მისივე თქმით, ბაგა-ბაღი მუშაობს აგრძელებს, ვინაიდან ჭურჭელი თანამშრომლებმა დროებით სახლიდან მიიტანეს.

მომხდართან დაკავშირებით სისხლის სამართლის საქმე აღიძრა, მიმდინარეობს გამოძიება.

**ინტერპრესნიუსი**


**რეკლამა** **კოსტავას 12**
„საქართველოს რესპუბლიკაში“ 98-65-87; 899 32-85-76.

# ბოლო გვერდი

● სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები თავად წყვეტენ, უნდა იყოს თუ არა ლიფტით მომსახურება ფასიანი. თავად ეს ფაქტი ძალიან ცუდია და არ უნდა არსებობდეს



## ◉ კონფლიქტის ზონა

### სამშვიდობოები ოჩამჩირეში „გაგულავდნენ“



**ოჩამჩირესთან მდებარე პოლიგონზე რუსი სამშვიდობოების სამხედრო მომზადება გრძელდება. როგორც აფხაზეთის მთავრობის მედია-ცენტრიდან იტყობინებიან, სამშვიდობოები ქართული მხრიდან შესაძლო შეტევის მოსაგერიებლად ვარჯიშობენ.**

სწავლება 13 თებერვალს დაიწყო და მასში მონაწილეობის მისაღებად რუსი სამშვიდობოები ოჩამჩირეში ზუგდიდის რაიონიდანაც გადავიდნენ. მათ ურთის ბაზიდან სამხედრო ტექნიკაც გაიტანეს.

აფხაზეთის კონფლიქტის ზონაში დისლოცირებული დსთ-ს კოლექტიური სამშვიდობო ძალების სარდლობის განმარტებით, ოჩამჩირესთან მდებარე პოლიგონზე სამშვიდობოების გეგმიური მომზადება მიმდინარეობს.

— მსგავს საცეცხლე მომზადებას ყველა სამშვიდობო გადის, რომლის დროსაც საშტატო იარაღიდან სროლაში ვარჯიშობს. მომზადებას მხოლოდ სამშვიდობოები გადიან და მასში აფხაზები არ მონაწილეობენ, — აცხადებს სამშვიდობოების სარდლობა და დასძენს, რომ რუსი სამშვიდობოები მანდატის სრული დაცვით მოქმედებენ.

### რუსი სამხედრო დაიღუპა

**ტრანსკავკასიურ მაგისტრალზე, როკის გვირაბის ჩრდილოეთ პორტალში, თოვლის ზვავმა რუსეთის თავდაცვის სამინისტროს მოტომსროლელთა კარვების ქალაქი დაფარა.**

როგორც ინტერნეტგამოცემა იწყება, ინციდენტი გუშინწინ, მოსკოვის დროით 22:40 საათზე მოხდა. ზვავის ქვეშ 10 სამხედრო მოსამსახურე, მათ შორის ორი ოფიცერი მოყვა. მაშველებმა ცხრა სამხედროს ამოყვანა შეძლეს, ერთი ჯარისკაცი კი დაიღუპა.

### მართლა გაიტაცეს ოსი მილიციელი?

**ცხინვალის დე ფაქტო რეჟიმი ქართულ სპეცსამსახურებს ცხინვალელი მილიციელის გატაცებაში ადანაშაულებს.**

როგორც სააგენტო „რეს“-ი ე.წ. შინაგან საქმეთა სამინისტროს პრესსამსახურზე დაყრდნობით იუწყება, ცხინვალის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელი ლეონიდ კაზმაჩოვი ქართულმა მხარემ სოფელ ავნევთან მდებარე პოსტიდან გაიტაცა.

— კაზმაჩოვი ცხინვალიდან ზნაურის რაიონში ბრუნდებოდა და სოფელ ავნევის პოსტთან გუშინ, 16:30 საათზე გაიტაცეს, შემდეგ კი ქალაქ გორისკენ წაიყვანეს, — აცხადებს დე ფაქტო შსს.

**ინტერპრესნიუსი**

## ◉ ინფორმაცია

### რა ზარალი განიცადეს ტელეკომპანიებმა?

**სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“-ის გენერალური დირექტორი ირაკლი ჩიქოვანი და სამაუწყებლო კომპანია „მზის“ გენერალური დირექტორი ალექსანდრე ფარულავა საგანგებო წერილით მიმართავენ პარლამენტის თავმჯდომარეს და ითხოვენ, მომდევნო არჩევნებზე კომერციული ტელეკომპანიების მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის გამოყოფილი სავალდებულო უფასო დროის ხანგრძლივობა**

**— 90 წამი ყოველ სამ საათში შემცირდეს 30 წამამდე ყოველ სამ საათში.**

წერილში წარმოდგენილია ანგარიში, თუ საპრეზიდენტო არჩევნებისათვის რა ზარალი განიცადეს ტელეკომპანიებმა.

საარჩევნო პერიოდში სამაუწყებლო კომპანიები „რუსთავი 2“-ისა და „მზის“ ეთერში პოლიტიკურმა პარტიებმა გამოიყენეს უფასო სარეკლამო დრო ხანგრძლივობით: სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი-2“ — 43053 წამი (11 საათი, 57 წუთი, 33 წამიძ, საერთო ღირებულებით 4514835,33 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში. სამაუწყებლო კომპანია „მზე“ — 42731 წამი (11 საათი, 52 წუთი, 11 წამიძ საერთო ღირებულებით 405411.53 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარში, — ნათქვამია წერილში.

მათი თქმით, ვინაიდან „რუსთავი-2“ და „მზე“არიან კომერციული ორგანიზაციები, მათი შემოსავალი მთლიანად დამოკიდებულია სარეკლამო დროის გაყიდვიდან მიღებულ მოგებაზე. პოლიტიკური რეკლამისთვის გამოყოფილი უფასო დრო ამცირებს გასაყიდი სარეკლამო დროის მოცულობას და ტელეკომპანიები ზარალს განიცდიან.

ამ წერილთან დაკავშირებით ხელისუფლებისა და ოპოზიციის პოზიცია ჯერჯერობით უცნობია.

**ჯი-ეიჩ-ენი**

### საავადმყოფო და ფასიანი ლიფტები?

**საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ალექსანდრე კვიტაშვილი სამედიცინო დაწესებულებებში ფასიანი ლიფტების არსებობას უარყოფითად აფასებს.**

ალექსანდრე კვიტაშვილმა სამედიცინო დაწესებულებებში ფასიანი ლიფტების არსებობის შესახებ „ინტერპრესნიუსისგან“ შეიტყო.

როგორც მინისტრმა საუბრისას განაცხადა, თბილისში არსებული ყველა სამედიცინო დაწესებულება კერძო შპს-ა და იგი ვერცერთ მათგანს ბრძანებით ვერ აუკრძალავს, რომ კლინიკებში ლიფტები ფასიანი არ იყოს.

— სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელები თავად წყვეტენ, უნდა იყოს თუ არა ლიფტით მომსახურება ფასიანი. თავად ეს ფაქტი ძალიან ცუდია და არ უნდა არსებობდეს. მომავალში კლინიკების ხელმძღვანელებთან ამ საკითხზეც მექნება საუბარი, — აღნიშნა კვიტაშვილმა.

### სამედიცინო უნივერსიტეტი — ძლიერი საუნივერსიტეტო ბაზა

**სამედიცინო უნივერსიტეტს მძლავრი საუნივერსიტეტო ბაზა ექნება. ამის შესახებ შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრმა ალექსანდრე კვიტაშვილმა სამინისტროში სამედიცინო დაწესებულებების ხელმძღვანელებთან შეხვედრისას განაცხადა.**

როგორც თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტის რექტორმა გია მენაბდემ ჟურნალისტებთან საუბრისას აღნიშნა, შეხვედრაზე მინისტრმა ჰოსპიტალურ საგანმანათლებლო კომპონენტზეც ისაუბრა. აღინიშნა, რომ შეიქმნება ერთიანი და ძლიერი საუნივერსიტეტო ბაზა.

**ინტერპრესნიუსი**


რეკლამა კოსტავას 12

„საქართველოს რესპუბლიკაში“

98-65-87; 899 32-85-76.


## ◉ ანეკდოტები

ჩერნობილის ატომურ ელექტროსადგურში მომხდარი კატასტროფის შედეგების დეტალური ანალიზის შემდეგ ამერიკამ გადაწყვიტა, მისცეს რუსეთს ირანში ატომური რეაქტორის აშენების უფლება.



* * *

— წარმოგიდგენია, გავიცანი ქირურგი, რომელმაც ხელი და გული შემომთავაზა, — ეუბნება მარო დაქალს.

— ეჰ, შენი, მაგარია, მერე?

— რა მერე, რა და... შეასრულა დანაპირები... და მომიტანა!

* * *

— იქნებ ამიხსნა, გეთაყვა, ეს ვინ გიწევს ლოგინში? — გესლიანად ეკითხება ცოლი ქმარს.

— შენ რა, დაგავიწყდა, დღეს რა დღეა? ეს ხომ ვალენტინაა!..

* * *

მიხოს შვილმა მანქანა სთხოვა, ქორწილში უნდა წავიდეო.

— წაიყვა, ოღონდ არაფერ დაეჯახო, გაიგე?

დილით მიხომ ნახა, რომ მანქანა ჩიტის სკინტლით იყო მოთხვრილი.

— შე რა, ვირიშვილო, ჩხიკვთა ქორწილში იყავი?

* * *

— კარგი ბიჭი ხარ, — ეუბნება მიხო ნიკას, — მაგრამ მამაშენი შენზე უკეთესი იყო, ბაბუაშენი კი მამაშენს სჯობდა, იმისი მამა კიდევ ბაბუაშენზე ბევრად უკეთესი ყოფილა, მაგრამ მამამისიც უფრო გამორჩეული ვაჟკაცი ყოფილა... ხომ ხედავ, როგორ თანდათან გერხევათ გვარში!

## ◉ კადრი




საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12. ტ: 899 53-76-16

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“ (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნის“ დამფუძნებლები
აიწყო და დაკაბადონდა გამომცემლობა „მაქსიმუმში“. 95-11-92
იბეჭდება „კოლორში“ (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434



რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.